

სს მისო ინტელექსპრესი

**ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს მისო ინტელექსპრესი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა	9
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	9
3 მომზადების საფუძველი	9
4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	19
6 ფული და ფულის ეკვივალენტები	21
7 ფულადი გზავნილების კომპანიებისგან მისაღები თანხები / კომპანიებისთვის გადასახდელი თანხები	22
8 გაცემული სესხები	22
9 საგადასახდო აქტივები	25
10 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	25
11 ძირითადი საშუალებები	26
12 არამატერიალური აქტივები	27
13 გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი	28
14 სხვა აქტივები	29
15 მიღებული სესხები	29
16 გადასახდელი გადასახადები	30
17 სხვა ვალდებულებები	30
18 სააქციო კაპიტალი	30
19 საპროცენტო შემოსავალი	31
20 საპროცენტო ხარჯი	31
21 საკომისიო შემოსავლები, წმინდა	31
22 მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	31
23 შემოსავალი ჯარიმებიდან	31
24 სხვა შემოსავალი	31
25 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	32
26 ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	32
27 ფინანსური რისკების მართვა	32
28 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები	36
29 კაპიტალის ადეკვატურობა	37
30 დაკავშირებული მხარეები	37
31 პირობითი ვალდებულებები	38
32 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	38
33 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	38

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს მისო ინტელექსპრესის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

დავით თავართქილაძე

ბერაძე ნანა

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინტელექსპრესი

თარიღი: 16 ივნისი, 2023

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს მისო ინტელექსპრესის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- საწარმოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

დავით თავართქილაძე

გენერალური დირექტორი

სს მისო ინტელექსპრესი

თარიღი: 16 ივნისი, 2023



ნ. ზეძე

ბერაძე ნანა

მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა სს მისო ინტელექსპრესი

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს მისო ინტელექსპრესის (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრებისთვის.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ, მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიტყეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვემაუთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენასთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი:
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-F-320544
SARAS-A-865011

თარიღი: 16 ივნისი, 2023

თბილისი, საქართველო



სს მისო ინტელექსპრესი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	25,381,312	23,404,503
ფულადი გზავნილების კომპანიებისგან მისაღები თანხები	7	12,394,268	10,644,518
გაცემული სესხები	8	17,488,644	14,003,450
გადახდილი ავანსები		64,231	67,570
საგადასახადო აქტივები	9	249,771	176,340
აქტივის გამოყენების უფლება	10	1,087,972	1,237,811
ძირითადი საშუალებები	11	2,660,006	2,614,652
არამატერიალური აქტივები	12	308,184	321,762
სხვა აქტივები	14	638,651	321,297
სულ აქტივები		60,273,039	52,791,903
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	9,622,161	10,827,681
ფულადი გზავნილების კომპანიებისთვის გადასახდელი თანხები	7	31,292,526	26,555,139
გადასახდელი გადასახადები	16	388,153	102,815
საიჯარო ვალდებულებები	10	983,087	1,301,271
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	13	165,087	113,697
სხვა ვალდებულებები	17	572,497	464,164
სულ ვალდებულებები		43,023,511	39,364,767
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	18	1,100,000	1,100,000
გაუნაწილებელი მოგება		16,149,528	12,327,136
სულ კაპიტალი		17,249,528	13,427,136
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		60,273,039	52,791,903

დავით თავართქილაძე

ბერაძე ნანა

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინტელექსპრესი

თარიღი: 16 ივნისი, 2023

სს მისო ინტელექსპრესი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	25,381,312	23,404,503
ფულადი გზავნილების კომპანიებისგან მისაღები თანხები	7	12,394,268	10,644,518
გაცემული სესხები	8	17,488,644	14,003,450
გადახდილი ავანსები		64,231	67,570
საგადასახადო აქტივები	9	249,771	176,340
აქტივის გამოყენების უფლება	10	1,087,972	1,237,811
ძირითადი საშუალებები	11	2,660,006	2,614,652
არამატერიალური აქტივები	12	308,184	321,762
სხვა აქტივები	14	638,651	321,297
სულ აქტივები		60,273,039	52,791,903
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	9,622,161	10,827,681
ფულადი გზავნილების კომპანიებისთვის გადასახდელი თანხები	7	31,292,526	26,555,139
გადასახდელი გადასახადები	16	388,153	102,815
საიჯარო ვალდებულებები	10	983,087	1,301,271
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	13	165,087	113,697
სხვა ვალდებულებები	17	572,497	464,164
სულ ვალდებულებები		43,023,511	39,364,767
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	18	1,100,000	1,100,000
გაუნაწილებელი მოგება		16,149,528	12,327,136
სულ კაპიტალი		17,249,528	13,427,136
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		60,273,039	52,791,903

დავით თავართქილაძე

გენერალური დირექტორი

სს მისო ინტელექსპრესი

თარიღი: 16 ივნისი, 2023



ნ. ბერიძე

ბერაძე ნანა

მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინტელექსპრესი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	19	3,387,852	2,722,659
საპროცენტო ხარჯი	20	(840,298)	(776,815)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		2,547,554	1,945,844
საკომისიო შემოსავლები, წმინდა	21	4,673,004	4,538,189
მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	22	6,940,348	5,340,674
შემოსავალი ჯარიმებიდან	23	295,965	220,194
სხვა შემოსავალი	24	327,197	291,388
საოპერაციო შემოსავალი		14,784,068	12,336,289
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	25	(8,744,155)	(7,577,883)
მოგება სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	26	368,888	(175,629)
ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში		(194,963)	12,956
მოგება გადასახადებამდე		6,213,838	4,595,733
მოგების გადასახადი	13	(1,010,945)	(722,669)
მიმდინარე წლის მოგება		5,202,893	3,873,064

დავით თავართქილაძე

ბერაძე ნანა

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინტელექსპრესი

თარიღი: 16 ივნისი, 2023

სს მისო ინტელექსპრესი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	19	3,387,852	2,722,659
საპროცენტო ხარჯი	20	(840,298)	(776,815)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		2,547,554	1,945,844
საკომისიო შემოსავლები, წმინდა	21	4,673,004	4,538,189
მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	22	6,940,348	5,340,674
შემოსავალი ჯარიმებიდან	23	295,965	220,194
სხვა შემოსავალი	24	327,197	291,388
საოპერაციო შემოსავალი		14,784,068	12,336,289
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	25	(8,744,155)	(7,577,883)
მოგება სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	26	368,888	(175,629)
ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში		(194,963)	12,956
მოგება გადასახადებამდე		6,213,838	4,595,733
მოგების გადასახადი	13	(1,010,945)	(722,669)
მიმდინარე წლის მოგება		5,202,893	3,873,064

დავით თავართქილაძე
გენერალური დირექტორი
სს მისო ინტელექსპრესი
თარიღი: 16 ივნისი, 2023



ნ. ბესიკი
ბერაძე ნანა
მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინტელექსპრესი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

აღწერა	2022	2021
მიღებული პროცენტი და ჯარიმა	3,588,519	2,944,055
სესხის დასაფარად შემოსული თანხები	45,217,633	45,059,630
გაცემული სესხები	(49,488,242)	(49,472,380)
გაწეული ხარჯები	(3,686,313)	(1,101,410)
გადახდილი ხელფასები	(3,474,046)	(3,190,100)
გადახდილი პროცენტი	(733,491)	(754,392)
გადახდილი გადასახადები	(2,060,974)	(1,801,140)
სხვაობა ფულადი გზავნილების შემოსვლასა და გასვლას შორის და სხვა	19,655,379	6,944,418
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	9,018,465	(1,371,319)
საბანკო დეპოზიტებზე მიღებული პროცენტები	32,256	41,800
ძირითადი საშუალებების შეძენა	(345,891)	(474,397)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	761	2,631
არამატერიალური აქტივების შეძენა	(47,000)	(20,892)
ვალდებულების დაფარვა მოთხოვნის უფლების ნაყიდობა	(85,895)	-
გადახდები სხვა კაპიტალიზირებულ არამატერიალურ აქტივებზე	-	(8,750)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(445,769)	(459,608)
მიღებული სესხები	9,092,037	6,793,442
დაფარული სესხები	(9,257,556)	(4,828,643)
საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა	(457,684)	(443,359)
გადახდილი დივიდენდები	(1,370,188)	(1,593,500)
მიღებული / (გადახდილი) საბანკო გარანტია	3,088	(13,649)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,990,303)	(85,709)
საკურსო სხვაობის შედეგი	(4,605,584)	(2,429,621)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	6,582,393	(1,916,636)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	23,404,503	27,750,760
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	25,381,312	23,404,503

დავით თავართქილაძე

ბერაძე ნანა

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინტელექსპრესი

თარიღი: 16 ივნისი, 2023

სს მისო ინტელექსპრესი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

აღწერა	2022	2021
მიღებული პროცენტი და ჯარიმა	3,588,519	2,944,055
სესხის დასაფარად შემოსული თანხები	45,217,633	45,059,630
გაცემული სესხები	(49,488,242)	(49,472,380)
გაწეული ხარჯები	(3,686,313)	(1,101,410)
გადახდილი ხელფასები	(3,474,046)	(3,190,100)
გადახდილი პროცენტი	(733,491)	(754,392)
გადახდილი გადასახადები	(2,060,974)	(1,801,140)
სხვაობა ფულადი გზავნილების შემოსვლასა და გასვლას შორის და სხვა	19,655,379	6,944,418
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	9,018,465	(1,371,319)
საბანკო დეპოზიტებზე მიღებული პროცენტები	32,256	41,800
ძირითადი საშუალებების შეძენა	(345,891)	(474,397)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	761	2,631
არამატერიალური აქტივების შეძენა	(47,000)	(20,892)
ვალდებულების დაფარვა მოთხოვნის უფლების ნასყიდობა	(85,895)	-
გადახდები სხვა კაპიტალიზირებულ არამატერიალურ აქტივებზე	-	(8,750)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(445,769)	(459,608)
მიღებული სესხები	9,092,037	6,793,442
დაფარული სესხები	(9,257,556)	(4,828,643)
საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა	(457,684)	(443,359)
გადახდილი დივიდენდები	(1,370,188)	(1,593,500)
მიღებული / (გადახდილი) საბანკო გარანტია	3,088	(13,649)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,990,303)	(85,709)
საკურსო სხვაობის შედეგი	(4,605,584)	(2,429,621)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	6,582,393	(1,916,636)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	23,404,503	27,750,760
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	25,381,312	23,404,503

დავით თავართქილაძე

გენერალური დირექტორი

სს მისო ინტელექსპრესი

თარიღი: 16 ივნისი, 2023



ნ. ზ. ბ. ბ.

ბერაძე ნანა

მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინტელექსპრესი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,100,000	10,059,572	11,159,572
წმინდა მოგება 2021 წლისთვის	-	3,873,064	3,873,064
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,605,500)	(1,605,500)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,100,000	12,327,136	13,427,136
წმინდა მოგება 2022 წლისთვის	-	5,202,893	5,202,893
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,380,501)	(1,380,501)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,100,000	16,149,528	17,249,528

დავით თავართქილაძე

ბერაძე ნანა

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინტელექსპრესი

თარიღი: 16 ივნისი, 2023

სს მისო ინტელექსპრესი
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,100,000	10,059,572	11,159,572
წმინდა მოგება 2021 წლისთვის	-	3,873,064	3,873,064
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,605,500)	(1,605,500)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,100,000	12,327,136	13,427,136
წმინდა მოგება 2022 წლისთვის	-	5,202,893	5,202,893
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,380,501)	(1,380,501)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,100,000	16,149,528	17,249,528

დავით თავართქილაძე

გენერალური დირექტორი

სს მისო ინტელექსპრესი

თარიღი: 16 ივნისი, 2023





ბერაძე ნანა

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნა 1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს მისო ინტელექსარესის (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) ფინანსურ ინფორმაციას.

სს მისო ინტელექსარესი (202353176) დარეგისტრირდა 2006 წელს თბილისში, საქართველოში, შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ინტელექსარეს ჯორჯია“-ს სახელწოდებით. 2018 წლის 12 თებერვალს კომპანია გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად და შეიცვალა სახელი, როგორც სს „მისო ინტელექსარესი“.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ფულადი გზავნილების განხორციელება; ინტელექსარესი არის საერთაშორისო ფულადი გზავნილების სისტემა, რომლის ძირითადი საქმიანობაა ფიზიკურ პირებს შორის ნაღდი ფულადი გზავნილების უზრუნველყოფა; აგრეთვე, ინტელექსარესის მომსახურებაში შედის კერძო გადახდები (სესხის დაფარვა, კომუნალური გადასახადები და ა.შ.), ინტერნეტ გადახდები და სხვა სწრაფი ფულადი გზავნილები.

კომპანიის დამატებითი საქმიანობაა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიკრო სესხების გაცემა. კომპანიას აქვს 23 სერვის ცენტრი (2020: 23 სერვის ცენტრი) თბილისსა და რეგიონებში: ცენტრალური (აღმაშენებლის გამზ.), მარჯანიშვილი (2), წერეთელი, გლდანის, დელისი თამარაშვილი, ვარკეთილი, ისანი, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, ახალქალაქი, გორი, რუსთავი, ზუგდიდი, ზესტაფონი, ბათუმი (2) თელავი, ქუთაისი (4). კომპანია გაცემს ოთხი სახის სესხს: (1) იპოთეკური სესხი, რომლის უზრუნველყოფა ხდება უძრავი ქონებით და თავდებობით, ან მხოლოდ უძრავი ქონებით; (2) სალომბარდო სესხი, რომლის უზრუნველყოფა ხდება ძვირფასი ქვებით/ლითონით ან ანტიკვარული ნივთებით (3) სამომხმარებლო სესხი, რომლებიც ძირითად შემთხვევაში უზრუნველყოფილია და რომელთა უზრუნველყოფა ხდება ძვირფასი ქვებით/ლითონებით, ავტომობილით, მსესხებლისგან (ან მესამე პირისგან) მიღებული კრედიტით ან თავდებობით და (4) სხვა სესხი, რომელიც რიგ შემთხვევაში არის უზრუნველყოფილი ძვირფასი ქვებით/ლითონებით, მსესხებლისგან (ან მესამე პირისგან) მიღებული კრედიტით ან თავდებობით. დადგენილია სესხის ზედა ზღვარი, რომელიც შეადგენს 100,000 ათას ლარს.

სს მისო ინტელექსარესის აქციონერები არიან:

აქციონერი	31-დეკ-22	31-დეკ-21
ქეთევან ქართველიშვილი	15.00%	15.00%
შპს გაერთიანებული საფინანსო ჯგუფი	85.00%	85.00%
სულ	100.00%	100.00%

შპს გაერთიანებული საფინანსო ჯგუფის მესაკუთრე და 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს ქალბატონი ლია ასლანიძე, საბერძნეთის მოქალაქე, რომელიც ასევე არის ინტელექსარესი საბერძნეთის (საბერძნეთში რეგისტრირებული და ოპერირებული კომპანია) დამფუძნებელი და 60%-იანი წილის მესაკუთრე.

შენიშვნა 2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს რეგულაციები მოიცავს მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფულადი სახით შენატანის განხორციელებას (მინიმუმ 1,000,000) და ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ფასის-ის შესაბამისად. საქართველოში დღესდღეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ კლიენტებისგან დეპოზიტების მიღება და სესხად 100 ათას ლარზე მეტი თანხის გაცემა (ასევე იხილეთ შენიშვნა #30).

ისეთი განვითარებადი ეკონომიკები, როგორც საქართველოშია, ძალიან მგრძნობიარენი არიან ბაზარზე სწრაფი ცვლილებებისა და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერაციების წარმოება ისეთ რისკებთანაა დაკავშირებული, რაც არ არის დამახასიათებელი განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შეცვალა სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სამეწარმეო კანონები, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემოზე. საქართველოს კარგი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს საინვესტიციო გარემოს კუთხით. საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებული 2023 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს მაჩვენებელი 56 ქულაა (180 ქვეყანას შორის 41-ე ადგილებს იყოფს ბოტსვანასთან, ფიჯისა და დომინიკასთან). საქართველოს შედეგი გასულ წელთან შედარებით გაუარესდა 1 ქულით. (2022 წელს 55 ქულა).

შენიშვნა 3 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და არ არის დაყოფილი როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

შენიშვნა 3 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი“).

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ პირობით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

4.1 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ა) ბასს 16-ის შესწორებები: "ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა"
- ბ) ბასს 37-ის შესწორებები - "წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"
- გ) ფასს 16-ის შესწორებები - კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ"

ბასს 16-ის შესწორებები: "ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა"

ლოკუმენტი ბასს 16-ის "ძირითადი საშუალებების" შესწორებები მოითხოვს, რომ კომპანიამ აღიაროს იმ ნაწარმის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა, რომელიც შეიქმნა ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ მზადების პროცესში და, ასევე, დაკავშირებული დანახარჯები მოგება ან ზარალში, ნაცვლად იმისა, რომ ეს მიღებული თანხები გამოქვითოს აქტივის თვითღირებულებიდან. ეს ცვლილება გამოიყენება რეტროსპექტულად.

ბასს 37-ის შესწორებები - "წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"

ბასს 37-ის შესწორებების - "ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" შედეგად უფრო ზუსტად განისაზღვრება დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს, როდესაც აფასებს, ხელშეკრულება წამგებიანი იქნება თუ არა.

4.2 ფასს 16-ის შესწორებები - კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ"

იმისათვის, რომ საწარმომ გამოიყენოს ფასს საიჯარო ქირის აღრიცხვის გამარტივებული მიდგომა, დაკმაყოფილებული უნდა იყოს შემდეგი ყველა პირობა:

- საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორიც იყო უშუალო საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;
- საიჯარო გადახდების შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ ისეთ გადახდებზე, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა;
- იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

4.3 ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მოუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

- ა) ფასს 17 - "სადაზღვევო ხელშეკრულებები";
- ბ) ბასს 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად";
- გ) ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში";
- დ) ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები;

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.3 ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

- ე) ბასს 8-ის შესწორებები - "ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ და სააღრიცხვო შეფასების განმარტება";
- ვ) ბასს 12-ის შესწორებები - "გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან".

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები - ფასს 17 - "სადაზღვევო ხელშეკრულებები" - ადგენს პრინციპებს საწარმოს მიერ დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და მათ შესახებ განმარტებითი შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებისთვის. გარდა ამისა, სტანდარტი ანალოგიური პრინციპების გამოყენებას მოითხოვს ასეთი გადაზღვევის ხელშეკრულებებისა და საწარმოს მიერ გამოშვებული დისკრეციული მინაწილეობის პირობების მქონე საინვესტიციო ხელშეკრულებების მიმართაც.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ბასს 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად" - ბასს 1-ის "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" - შესწორებების შედეგად უფრო ნათლად განისაზღვრა მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების ნაშთის წარდგენას მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ვალდებულებების სახით. ასევე, უფრო ნათლად არის განმარტებული ვალდებულებების დაფარვის მნიშვნელობა.

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში" - ფასს 10-ისა და "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება" და ბასს 28-ის - "ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში" - შესწორებების შედეგად უფრო ნათელი გახდა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებს შორის განხორციელებული აქტივების გაყიდვის ან საკუთარ კაპიტალში შეტანის ოპერაციების სააღრიცხვო მიდგომა. იმ შემთხვევაში, როდესაც არაფულადი აქტივები წარმოადგენს საწარმოს, ინვესტორი აღიარებს მთელ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივების გაყიდვასთან ან საკუთარ კაპიტალში შეტანასთან. სხვა შემთხვევაში, ინვესტორი შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ იმ ოდენობით აღიარებს, რა ოდენობის წილიც აქვს სხვა ინვესტორს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში. ამ შესწორებების ძალაში შესვლა გადავადდა მანამდე, სანამ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო დადასტურებს წილობრივ მეთოდთან დაკავშირებულ კვლევით პროექტს.

კომპანია არ მოელოდა სტანდარტების ძალაში შესვლამ არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ფინანსურ

ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები - "სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელი ინფორმაციისა და სააღრიცხვო შეფასების განმარტების შესწორებები" - იწვევს შემდეგი სტანდარტების ცვლილებებს:

- ფასს 7, რათა ნათლად ჩანდეს, რომ საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის, სავარაუდოდ, არსებითი იქნება ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების საფუძვლის შესახებ ინფორმაცია;
- ბასს 1, რათა საწარმოს ინფორმაციის გამჟღავნება მოეთხოვოს არა მნიშვნელოვანი, არამედ არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ;
- ბასს 8, რათა უფრო ნათელი გახდეს, როგორ უნდა განასხვავოს საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და სააღრიცხვო შეფასების ცვლილება;
- ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2 - "არსებითობის განსჯა", რათა საწარმოს ჰქონდეს მითითებები იმის თაობაზე, როგორ უნდა გამოიყენოს არსებითობის ცნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელ ინფორმაციასთან მიმართებით.

ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან - დოკუმენტმა - "გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან" - გამოიწვია ბასს 12-ის შეცვლა, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესი, რომლებიც, ოპერაციის განხორციელების მომენტში, წარმოშობს იდენტურ დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. გარკვეულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. ბასს 12-ის ამ შესწორების დოკუმენტში მითითებულია, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება ისეთ ოპერაციებზე, რომლის დროსაც საწარმო აღიარებს, როგორც აქტივს, ისე ვალდებულებას და ამავე დროს წარმოიქმნება იდენტური დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები. ასე შეიძლება მოხდეს ისეთი ოპერაციების შემთხვევაში, როგორიცაა იჯარა და ექსლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავსი ვალდებულებები.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.4 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებს.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამოწვეული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ასახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

იმ გაცემული სესხებისთვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდლების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პოტენციურ დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა (დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5).

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამჟღავნებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.4 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9- ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრების რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.5 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულის ეკვივალენტები მოიცავს: სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და ფულს მიმდინარე ანგარიშებსა და ანაბრებზე.

4.6 გაცემული სესხები

გაცემული სესხი წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება საბაზრო ღირებულებას (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), დამატებული სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით სესხების გაუფასურების რეზერვების გამოკლებით.

სესხის ამორტიზებული ღირებულება არის სესხის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვებული ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის, გამოკლებული სესხის გაუფასურება. შენატანები და შეღავათები, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

გაუფასურების ცვლილებები განსაზღვრულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის საშუალებით. შენიშვნა 5-ში მოცემულია ინფორმაცია შეფასებული მონაცემების, დაშვებებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, რომლებიც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას, მათ შორის განმარტებები იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს კომპანია სამომავლო ინფორმაციებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.7 გადახდილი ავანსები

საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები თავდაპირველად აღიარდება გადახდილი თანხის ოდენობით და საჭიროებისამებრ კორექტირდება შესაძლო გაუფასურებით. ავანსები ითვლება გაუფასურებულად, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სრულად მიიღოს ის საქონელი და მომსახურება, რაც გათვალისწინებულია მხარეებს შორის თავდაპირველი შეთანხმებით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ავანსები წარმოდგენილია გადახდის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით და არ გადაანგარიშდება ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ კურსზე.

4.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოყენებულად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	50 წელი
კომპიუტერები და საკომუნიკაციო აღჭურვილობა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
საოფისე აღჭურვილობა	5 წელი
სხვა აქტივები	5 წელი

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეფასდეს მათი ღირებულება შეესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწრა ზდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწრასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა ჩამოწრიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწრა.

4.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი, წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის განაკვეთები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივების ჯგუფი	ამორტიზაციის განაკვეთი
ლიცენზიები	10 - 15%
პროგრამული უზრუნველყოფა	15%

ლიცენზიები მოიცავს კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიებსა და მასტერქარდის ლიცენზიას.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.10 გასაყიდად გამოზნული გრძელვადიანი აქტივები

გასაყიდად გამოზნული გრძელვადიანი აქტივები შედგება უზრუნველყოფაში კომპანიის მიერ დასაკუთრებული უზრუნველყოფის ღირებულებისგან, რომლებიც კომპანიამ მიიღო მსესხებლის მიერ სესხის გადაუხდელობის შედეგად. უზრუნველყოფა შეიძლება იყოს მიწა, შენობა, სახლი, ავტომობილი, საცხოვრებელი ბინა, ძვირფასი ქვები/ლითონები ან ანტიკვარული ნივთები.

კომპანია დასაკუთრებული უზრუნველყოფის გასაყიდად გამოზნულ გრძელვადიან აქტივად კლასიფიკაციას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ მისგან მოელის საბალანსო ღირებულების ამოღებას მისი გაყიდვით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით. ამისათვის შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვა არსებულ მდგომარეობაში, მხოლოდ ასეთი აქტივების გაყიდვის ჩვეულებრივი პირობებით და მისი გაყიდვა ღირდად მოსალოდნელი უნდა იყოს. იმისათვის, რომ გაყიდვა ღირდად მოსალოდნელი იყოს, ხელმძღვანელობის შესაბამისი დონე აქტივის გაყიდვის გეგმას მხარს უნდა უჭერდეს და შემუშავებული უნდა იყოს მყიდველის მოძებნისა და გეგმის ბოლომდე მიყვანის აქტიური პროგრამა. გარდა ამისა, უნდა მოხდეს აქტივის აქტიურ გაყიდვაზე მიმართული მარკეტინგი, იმ ფასად, რომელიც გონივრულია ამ აქტივის რეალური ღირებულების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ამ გაყიდვის აღიარება დასრულებულ გაყიდვად შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის გასაყიდად გამოზნულად კლასიფიცირების დღიდან ერთი წლის განმავლობაში. ამასთან, გეგმის დასრულებისათვის საჭირო საქმიანობა იმის დასტურს უნდა იძლეოდეს, რომ გეგმის მნიშვნელოვანი ცვლილება ან გეგმის გაუქმება მოსალოდნელი არ არის.

თუ უზრუნველყოფის გაყიდვა არ არის განზრახული, მისი აღიარება ხდება ძირითად საშუალებებში ან საინვესტიციო ქონებაში იმის მიხედვით თუ როგორ გეგმავს კომპანია მის გამოყენებას და მისი ხელახლა გაზომვა და აღრიცხვა ხდება აქტივის შესაბამისი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანია აფასებს გასაყიდად გამოზნულ გრძელვადიან აქტივებს საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის თანხებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესით.

4.11 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ზარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებული არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს, თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება აღმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით, აქტივების საგადასახადო (დასაბეგრი) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებებზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია, როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ერცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

4.12 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივები, რომლებიც კომპანიის შემთხვევაში წარმოადგენს ძირითად საშუალებებს, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაფასდება გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობისას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.12 არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენების ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შეუძლია ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში მოხდა ცვლილება. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზომით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა თუ ამორტიზაციის გამოქვითვით, თუ არ მოხდებოდა გაუფასურების ზარალის აღიარება.

4.13 მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღიარდება მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, რა პერიოდშიც ეს ხარჯები წარმოიშვა.

4.14 იჯარა

2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ იჯარების აღრიცხვისთვის დანერგა ფასის 16 - "იჯარა", რომლის მიხედვითაც კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებებს აღიარებს ისეთი იჯარებისთვის, რომლებიც ადრე ბასს 17-ის მიხედვით კლასიფიცირებული იყო, როგორც "საოპერაციო იჯარა".

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარის დაწესების თარიღისთვის აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებებს. აქტივის გამოყენების უფლება ფასდება ღირებულებით, რომელიც მოიცავს უშუალოდ საიჯარო ვალდებულებებს, დაკორექტირებულს ნებისმიერი დამატებითი გადასახადით, რომელიც განხორციელდა იჯარის დაწესების თარიღში ან მანამდე, ასევე, მოიჯარის მიერ გაწეულ ნებისმიერ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟის ან ფილიალებისა და ოფისებში განხორციელებული გაუმჯობესების მოსახსნელად. აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწესებიდან ვადის დასრულებამდე ერიცხება ცვეთა წრფივით მეთოდით, რომელიც აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ცვეთის ხარჯი.

აღიარებული აქტივის გამოყენების უფლება დაკავშირებულია ქონებასთან პირადი გამოყენების მიზნით, კერძოდ, ოფისებისა და ფილიალებისთვის.

საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება ფასდება, როგორც იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულება, რომელიც იჯარის დაწესების თარიღისთვის ჯერ განხორციელებული არ არის და რომელიც უნდა დადისკონტირდეს კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით. საიჯარო ვალდებულებები მცირდება საიჯარო გადახდებით. თითოეული გადახდა ნაწილდება საიჯარო ვალდებულებასა და საპროცენტო ხარჯს შორის. საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი წარმოდგენილია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც საპროცენტო ხარჯი.

საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს. როდესაც საიჯარო ხელშეკრულება შეიცავს შეწყვეტის ან გაგრძელების არჩევანს და არსებითად სარწმუნოა, რომ კომპანია გამოიყენებს ამ უფლებას, მოსალოდნელი საიჯარო გადახდები ან ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები შედის საიჯარო გადახდებში საიჯარო ვალდებულების შესაფასებლად.

ზოგადად, საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი საიჯარო გადახდების დღევანდელ ღირებულებას:

- ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს;
- ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს;
- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადაზე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადაზე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

2022 წლის განმავლობაში მოიჯარის საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო განაკვეთი იყო 7.1% დოლარში წარმოდგენილი იჯარებისთვის, ხოლო 8.2% ლარში წარმოდგენილი იჯარებისთვის (2021: 8.19% და 13.04%, შესაბამისად).

შენიშვნა 4 პირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.14 იჯარა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულება (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ამასთანავე, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი მოგება - ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომელთა საიჯარო ვადა შეადგენს 12 თვეს ან ნაკლებს.

4.15 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზებული ხარჯით.

4.16 სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან და აქციების ოფციონებთან, აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის გათვალისწინებით.

გამოსყიდული აქციები

თუ კომპანია გამოისყიდის საკუთარ აქციებს, გადახდილი ანაზღაურება გამოიქვითება სააქციო კაპიტალიდან მანამ, სანამ არ მოხდება ამგვარი აქციების გაუქმება ან განმეორებით გამოშვება.

4.17 საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავს გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდებიან პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეტენასთან დაკავშირებით, ან ფინანსური ვალდებულების გამოცემასთან დაკავშირებით, მაგ: კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობების მოლაპარაკება და ოპერაციის ღირებულებების დაშვება.

4.18 მოსაკრებლები, საკომისიოები, სხვა შემოსავლები და ხარჯები

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 აღგენს პრინციპებს, რომლებიც საწარმოო უნდა გამოიყენოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად წარმოქმნილი ამონაგებისა და ფულადი ნაკადების ხასიათის, სიდიდის, მათი წარმოქმნის ვადებისა და განუსაზღვრელობის შესახებ საჭირო ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენისთვის.

ფასს 15-ის თანახმად კომპანია დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის ასახვისას ამონაგებს აღიარებს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

შემოსავლის ფასს 15-ის მიხედვით აღიარებისთვის კომპანიამ უნდა გაიაროს შემდეგი 5 ნაბიჯი:

- ხელშეკრულების იდენტიფიკაცია;
- შესასრულებელი ვალდებულების იდენტიფიკაცია;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც კომპანია დაკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას.

ფასს 15-ის მიხედვით კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შესასრულებელი ვალდებულებები დაკმაყოფილებდა. ეი როდესაც შესასრულებელი ვალდებულების ქვეშ მყოფ საქონელზე და მომსახურებაზე "კონტროლი" გადადის მომხმარებლის ხელში.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.18 მოსაკრებლები, საკომისიოები, სხვა შემოსავლები და ხარჯები (გაგრძელება)

ფასს 15-ის მიღებას გავლენა არ ჰქონია საკომისიო შემოსავლების ოდენობასა ან პერიოდიზაციაზე და მასთან დაკავშირებულ, კომპანიის მიერ აღიარებულ აქტივებსა და ვალდებულებებზე.

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებაში, რომელიც ფასდება ფაქტობრივად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

4.19 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2022 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ევრო	2.8844	3.5040
ბრიტანული ფუნტი	3.2581	4.1737
აზერბაიჯანული მანათი	1.5924	1.8222
რუსული რუბლი	0.0368	0.0415
შვეიცარული ფრანკი	2.9322	3.3772
კანადური დოლარი	1.9959	2.4208
თურქული ლირა	0.1443	0.2379
ბანგლადეშური ტაკა	0.0262	0.0361
სომხური დრამი	0.0069	0.0064
ჩინური იუანი	0.3906	0.4859
არაბეთის გაერთიანებული საემიროების დირჰამი	0.7357	0.8433
შვედური კრონა	0.2592	0.3417
პოლონური ზლოტი	0.6154	0.7624
ინდონეზიური რუპია	0.0002	0.0002
ფილიპინური პესო	0.0484	0.0606
იაპონური იენი	0.0205	0.0269
ისრაელის შეკელი	0.7691	0.9970
მოლდოვეური ლეი	0.1410	0.1746
ბაჰრეინული დინარი	7.1580	8.2013
იორდანული დინარი	3.8062	4.3611
ქუვეითური დინარი	8.8301	10.2366
ყატარის რიალი	0.7363	0.8435
საუდის არაბეთის რიალი	0.7180	0.8234
უკრაინული გრივნა	0.0735	0.1135
ბრაზილიური რიალი	0.5119	0.5440
ყაზახური ტენგე	0.0058	0.0072
შრილანკური რუპია	0.0073	0.0153
ნეპალური რუპია	0.0204	0.0260
პაკისტანური რუპია	0.0120	0.0174
ბულგარული ლევი	1.4747	1.7908
ინდური რუპია	0.0327	0.0416
რუმინული ლეი	0.5830	0.7079

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.20 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები (გაცემული სესხები და მოთხოვნები) და ვალდებულებები (მიღებული სესხები და ვალდებულებები) ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასის-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

შენიშვნა 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადახედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს საგარეო გამოყენებას, საგარეო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

ბ) საიჯარო ვადის განსაზღვრა

საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანიის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ქმნის სტიმულს რომ გამოიყენოს გაგრძელების ოფციონი ან არ გამოიყენოს შეწყვეტის ოფციონი. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) გათვალისწინებულია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძველი (ან არ შეწყვეტის საფუძველი). შეფასების გადახედვა ხდება თუ მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდება გარემოებებში, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და რომელიც მოქცეულია მოიჯარის კონტრაქტის ფარგლებში.

გ) ზღვრული სასესხო განაკვეთის განსაზღვრა

როდესაც კომპანიას არ შეუძლია ადვილად განსაზღვროს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, იყენებს მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. შესაბამისად, ზღვრული სასესხო განაკვეთი საჭიროებს შეფასების გაკეთებას როდესაც კომპანიისთვის არ არის ხელმისაწვდომი ემპირიული განაკვეთები ან როდესაც საჭიროა მათი იმგვარად დაკორექტირება, რომ ასახოს იჯარის პირობები.

ზოგადად კომპანია ზღვრულ სასესხო განაკვეთს აფასებს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით (როგორცაა საკუთარ მოზიდულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი ან/და კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთი იჯარის მსგავს სესხებზე), ხოლო საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე დაყრდნობით, როდესაც თვალსაჩინო მონაცემები არაა ხელმისაწვდომი. კომპანია იყენებს ერთსა და იმავე დისკონტირების განაკვეთს იჯარების იმ პორტფელისთვის, რომელთაც მსგავსი მახასიათებლები აქვთ. იჯარის ხელშეკრულებები დაყოფილია მათი ტიპის, ვალუტის და ვადიანობის პირობების მიხედვით: 1-2 წელი, 2-5 წელი, 5 წელზე მეტი.

დ) მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი

2019 წელს კომპანიამ დანერგა ახალი მეთოდოლოგია, რომელიც აკმაყოფილებს ფასის 9-ის მოთხოვნებს. განახლებული მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა, სესხის დანაკარგების ცვლილება უფრო ზუსტად შეფასდეს სამომავლო პროგნოზების გამოყენებით.

შენიშვნა 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

დ) მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი (გაგრძელება)

ორგანიზაცია ახდენს საკრედიტო პორტფელში არსებული სესხების სეგმენტებად დაყოფას მათი საერთო მახასიათებლების და მსგავსი საკრედიტო რისკის პროფილების მიხედვით. საანგარიშო პერიოდისთვის გამოყენებულია შემდეგი ტიპის სესხების დაჯგუფებები:

- სალომბარდე სესხები (ძვირფასი ქვებით და ლითონებით უზრუნველყოფილი კრედიტები);
- საკრედიტო ხაზები (საბლანკო და თავდებობით უზრუნველყოფილი);
- იპოთეკური/სამომხმარებლო სესხები (უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კრედიტები);
- სამომხმარებლო სესხები (საბლანკო, თავდებობით ან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი).

თითოეული სეგმენტის მიმართ გამოყენებულ იქნა როგორც საერთო, ასევე ინდივიდუალური მიდგომები, რომლებიც აღწერილია მომდევნო თავებში:

სააღრიცხვო მოდელი ECL-ის დადგენისას სეგმენტების ჭრილში ითვალისწინებს სესხის ისტორიულ და მიმდინარე მონაცემებს, ასევე სამომავლო მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, რომლისთვისაც გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკური სცენარები.

სააღრიცხვო მოდელი ECL-ის გამომანგარიშებისას იყენებს ორგანიზაციის მიერ დადგენილი საკრედიტო რისკების მოდელირებას და შედეგად შემდეგი კომპონენტებისგან:

სესხის მოსალოდნელი დანაკარგი (ECL) = დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD) * დეფოლტის ალბათობა (PD) * დანაკარგი დეფოლტის შემთხვევაში (LGD), სადაც:

- დეფოლტის რისკის პოზიცია (შემდგომში EAD), განიმარტება როგორც სესხის ძირითადი თანხის ნაშთი საანგარიშო პერიოდისთვის;
- დეფოლტის ალბათობა (შემდგომში PD), განიმარტება როგორც სესხის დეფოლტის ალბათობა საანგარიშო პერიოდისთვის;
- დანაკარგი დეფოლტის შემთხვევაში (შემდგომში LGD), განიმარტება როგორც სესხის ძირითადი თანხის დანაკარგი საანგარიშო პერიოდისთვის მისი დეფოლტის შემთხვევაში.

PD და LGD -ის პოზიციების შეფასება ხდება მაკრო სცენარების გათვალისწინებით, რომელშიც შედის შშპ-ს (GDP) ზრდა და სფი-ს (CPI) ინფლაცია საანგარიშო პერიოდისგან მომავალი 1 წლის განმავლობაში. GDP და CPI მაჩვენებლები აღებულია საბაზო, ოპტიმისტური და პესიმისტური საპროგნოზო სცენარების მიხედვით, რომელთა დადგომა აღებულია 50%, 25% და 25% ალბათობების შესაბამისად.

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- I ეტაპი სესხს მიენიჭება გაცემისას ან საანგარიშო პერიოდის დროს თავდაპირველი აღიარებისას, როდესაც PD ნაკლებია ან ტოლია 50%-ის. პირველ ეტაპზე მყოფ სესხს გააჩნია 12 თვიანი ტიპის ECL, მისი PD შესაბამისად შეიძლება შემცირდეს მომავალი საანგარიშო პერიოდისთვის.
- II ეტაპი სესხს მიენიჭება:
 - ა. გაცემისას ან საანგარიშო პერიოდის დროს თავდაპირველი აღიარებისას, როდესაც PD მეტია 50%-ზე;
 - ბ. როდესაც ხდება მისი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა;
 - გ. საშუალო ტიპის ECL, მისი PD აღარ მცირდება და მისი სტატუსი არ უბრუნდება პირველი სტადიის ECL-ს სამომავლო საანგარიშო პერიოდებზე.
- თუ II ეტაპზე მყოფი სესხისთვის მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ან ის არის მიჩნეული უმოქმედოდ, სესხი გადადის III ეტაპზე.

I ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წლის მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III ეტაპისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

დეფოლტის მნიშვნელობა - მსესხებელი არის გადეფოლტებული თუ ერთ-ერთი მაინც მოხდა ჩამოთვლილთაგან:

- სალომბარდე სესხების შემთხვევაში - სესხი ითვლება გადეფოლტებულად, თუ $PD > 50\%$ -ზე.
- საკრედიტო ხაზების შემთხვევაში - სესხზე დამდგარი დეფოლტი განისაზღვრება, როგორც საკრედიტო ხაზის 119 დღეზე მეტი ვადაგადაცილება. ალგორითმის სიზუსტის შეფასებისთვის გამოყენებულია მიდგომა, როდესაც $PD > 50\%$ -ზე, სესხი ითვლება დეფოლტში მყოფად.
- იპოთეკური/სამომხმარებლო სესხების შემთხვევაში - დეფოლტად ითვლება სესხზე ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის 149 - ზე გადაჭარბება.
- სამომხმარებლო სესხებისთვის დეფოლტად ითვლება სესხზე ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის 119-ზე გადაჭარბება.

შენიშვნა 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

ე) გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

შენიშვნა 6 ფული და ფულის ეკვივალენტები

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
ნაღდი ფული	6.1	9,180,822	7,789,209
შეზღუდული ფული ბანკში	6.1	390,367	38,189
ფული ბანკში	6.1	15,810,123	15,577,105
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები		25,381,312	23,404,503

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ფული ბანკში მოიცავს შეზღუდულ ფულად სახსრებს 390,367 ლარის ოდენობით (200,000 ბანგლადეშური ტაკა და 10,000 აშშ დოლარი). 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის შეზღუდული ფულადი სახსრები მოიცავდა 38,189 ლარს (200,000 ბანგლადეშური ტაკა და 10,000 აშშ დოლარი).

6.1 ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით

	31-დეკ-22	31-დეკ-21
ქართული ლარი (GEL)	3,580,323	3,109,883
აშშ დოლარი (USD)	9,479,548	5,335,314
ევრო (EUR)	8,978,366	12,307,480
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	2,563,505	1,692,422
აზერბაიჯანული მანათი (AZN)	2,922	31,484
რუსული რუბლი (RUR)	180,064	200,190
შვეიცარული ფრანკი (CHF)	45,231	34,690
კანადური დოლარი (CAD)	40	55,872
თურქული ლირა (TRY)	16,619	5,165
ბანგლადეშური ტაკა (BDT)	91,205	64,558
სომხური დრამი (AMD)	7,116	13,297
ჩინური იუანი (CNY)	89	-
არაბეთის გაერთიანებული საემიროების დირჰამი (AED)	45,084	24,908
შვედური კრონი (SEK)	3,222	2,730
პოლონური ზლოტი (PLN)	12,388	26,067
ფილიპინური პესო (PHP)	181,943	333,745
იაპონური იენი (JPY)	-	269
მოლდოვეური ლეი (MDL)	5,594	5,621
ისრაელის შეკელი (ILS)	8,268	11,954
უკრაინული გრივნა (UAH)	292	8,540
ინდონეზიური რუპია (IDR)	73,183	82,302
ბაჰრეინული დინარი (BHN)	7,659	603
ქუვეითური დინარი (KWT)	1,174	1,937
ყატარის რიალი (QAR)	4,108	956
საუდის არაბეთის რიალი (SAR)	6,060	16,125
იორდანული დინარი (JOD)	316	22
ბრაზილიური რიალი (BRL)	-	-
ყაზახური ტენგე (KZT)	1,975	961
შრილანკური რუპია (SLR)	27,019	11,796
პაკისტანური რუპია (PKR)	51,552	25,612
ნეპალური რუპია (NPR)	6447	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	25,381,312	23,404,503

კომპანიის ფულადი სახსრების უმეტესობა არის იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც "B"-ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი), "BB-"-ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

შენიშვნა 7 ფულადი გზავნილების კომპანიებისგან მისაღები თანხები / კომპანიებისთვის გადასახდელი თანხები

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოფს ფიზიკურ პირებს შორის ნაღდი ფულადი გზავნილების განხორციელებას, რის შედეგადაც კომპანიას წარმოექმნება მოთხოვნები და ვალდებულებები პარტნიორ ფულადი გზავნილების კომპანიებთან. 2019 წლის 1 ნოემბრიდან კომპანიას შეეცვალა გენერალურ პარტნიორთან ანგარიშსწორების წესი. ცვლილების შედეგად, კომპანია გენერალური პარტნიორისგან გადასახდელ თანხებში აღრიცხავს მოთხოვნებს გზავნილის შექმნისთანავე გაუნაღდებელ გზავნილებზე. ამასთანავე, კომპანია გენერალური პარტნიორისგან გამოგზავნილ თანხებს პირობითი ვალდებულების სახით აღრიცხავს სატრანზიტო ანგარიშზე გზავნილის შექმნისთანავე და აღნიშნულ ანგარიშზე რჩება გზავნილის განაღდებაამდე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი გზავნილების კომპანიებისგან მისაღები და ფულადი გზავნილების კომპანიებისთვის გადასახდელი თანხები შეადგენს 12,394,268 ლარს და 31,292,526 ლარს, შესაბამისად (2021 წელი: 10,644,518 ლარი და 26,555,139 ლარი, შესაბამისად).

შენიშვნა 8 გაცემული სესხები

კომპანია სესხებს გასცემს ძირითადად ფიზიკურ პირებზე, ნებისმიერი მიზნობრივობით. ძირითადად კომპანია სესხებს გასცემს ლარში 1 თვიდან 10 წლამდე ვადით. გაცემული სესხების წლიური პროცენტი ძირითადად მერყეობს 24 პროცენტიდან 48 პროცენტამდე. დაფარვის გრაფიკის მიხედვით გაცემული სესხები 2 ჯგუფად იყოფა: სესხის ძირის ვადის ბოლოს დაფარვით და ანუიტეტის პრინციპით. გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, თავდებობით, ძვირფასი ქვებით/ლითონით, ანტიკვარული ნივთებით, ავტომობილებით, მსესხებლისგან (ან მესამე პირისგან) მიღებული კრედიტით ან გარანტიით, თუმცა გვხვდება არაუზრუნველყოფილი სესხებიც.

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
სალომბარდე სესხი		10,316,195	8,190,492
იპოთეკური/სამომხმარებლო სესხი		4,874,006	3,347,966
საკრედიტო ხაზი		1,952,295	2,115,060
სამომხმარებლო სესხი		351,142	323,648
დარიცხული პროცენტი		229,819	170,062
მთლიანი გაცემული სესხები	8.1; 8.2	17,723,457	14,147,228
<i>მინუს: გაუფასურების რეზერვი</i>	8.4	(234,813)	(143,778)
წმინდა სასესხო პორტფელი		17,488,644	14,003,450

8.1 მთლიანი სასესხო პორტფელი ძირის და დარიცხული პროცენტის მიხედვით

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
სესხის ძირი	8.2; 8.3; 8.4; 8.5	17,493,638	13,977,166
დარიცხული პროცენტი		229,819	170,062
მთლიანი სასესხო პორტფელი		17,723,457	14,147,228

8.2 გაცემული სესხის ძირის განაწილება სესხის ვადიანობის მიხედვით

	31-დეკ-22	31-დეკ-21
1 წელზე ნაკლები	9,936,790	8,599,924
1-დან 3 წლამდე	1,963,095	1,419,285
3-დან 5 წლამდე	1,451,248	2,766,773
5 წელზე მეტი	4,142,505	1,191,184
სულ გაცემული სესხის ძირი	17,493,638	13,977,166

8.3 უზრუნველყოფის ანალიზი

კომპანიის მიერ გაცემული სესხები ძირითადად უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით (მიწა, შენობა), ავტომობილით, მსესხებლისგან (ან მესამე პირისგან) მიღებული კრედიტით, გარანტიით, ძვირფასი ლითონებით/ქვებით ან ანტიკვარით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სესხის ნაშთების ანალიზს (სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლების გარეშე) მათი შესაბამისი უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებებთან მიმართებაში (გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით: რეალურ ღირებულებას გამოკლებული გირაოს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები).

სს მისო ინტელექსტუალური
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 8 გაცემული სესხები (გაგრძელება)

8.3 უზრუნველყოფის ანალიზი (გაგრძელება)

	31-დეკ-22		31-დეკ-21	
	სესხის მიმდინარე ღირებულება	უზრუნველყოფის FVLCS *	სესხის მიმდინარე ღირებულება	უზრუნველყოფის FVLCS *
სალომბარდე სესხი	4,874,006	15,131,456	8,190,492	8,773,117
იპოთეკური/სამომხმარებლო სესხი	10,316,194	10,037,773	3,347,966	9,459,018
საკრედიტო ხაზი	351,142	278,285	2,115,060	704,767
სამომხმარებლო სესხი	1,952,295	624,525	323,648	344,072
სულ	17,493,638	26,072,040	13,977,166	19,280,974

* FVLCS - უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები

8.4 სესხების გაუფასურების რეზერვი

სესხის გაუფასურების რეზერვი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ცხრილში:

	12 თვიანი ECL	სრული ECL - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	54,547	45,294	43,937	143,778
ახალი გაცემული სესხები	24,574	70,415		94,989
გადატანა პირველ ეტაპზე				-
გადატანა მეორე ეტაპზე	(2,048)	47,371		45,323
გადატანა მესამე ეტაპზე		(8,480)	8,500	20
დაფარული სესხები	(11,210)	26,123	(2,320)	12,592
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	(554)	(8)		(562)
ადრე ჩამოწერილი სესხებიდან მიღებული თანხები				-
საკრედიტო რისკის ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები	102	(53,660)	(7,769)	(61,326)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	65,410	127,055	42,348	234,813

გაცემული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12 თვიანი ECL	სრული ECL - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	13,782,979	135,150	59,036	13,977,166
ახალი გაცემული სესხები	9,367,285	235,874		9,603,159
გადატანა პირველ ეტაპზე				-
გადატანა მეორე ეტაპზე	(127,320)	112,431		(14,889)
გადატანა მესამე ეტაპზე		(12,746)	12,147	(599)
დაფარული სესხები	(4,904,341)	(80,267)	(3,115)	(4,987,722)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	(267,647)	(157)		(267,804)
ადრე ჩამოწერილი სესხებიდან მიღებული თანხები	-	-	-	-
საკრედიტო რისკის ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები	(815,859)	8,249	(8,062)	(815,673)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	17,035,097	398,534	60,006	17,493,638

სს მისო ინტელექსტარესი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 8 გაცემული სესხები (გაგრძელება)

8.4 სესხების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)

სესხის გაუფასურების რეზერვი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ცხრილში:

	ეტაპი 1 12 თვიანი ECL	ეტაპი 2 სრული ECL - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული ECL - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში ფას 9-ის მიხედვით	65,582	70,113	71,539	207,234
ახალი გაცემული სესხები	17,755	25,656	-	43,411
გადატანა პირველ ეტაპზე	-	-	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(8,251)	8,251	-	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(12,901)	12,901	-
დაფარული სესხები	(18,241)	(46,900)	(32,602)	(97,743)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	(539)	(630)	-	(1,169)
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	(1,759)	1,705	(7,901)	(7,955)
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	54,547	45,294	43,937	143,778

გაცემული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

	ეტაპი 1 12 თვიანი ECL	ეტაპი 2 სრული ECL - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	ეტაპი 3 სრული ECL - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში ფას 9-ის მიხედვით	9,601,359	260,489	79,890	9,941,738
ახალი გაცემული სესხები	8,809,017	73,618	-	8,882,635
გადატანა პირველ ეტაპზე	-	-	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(12,286)	12,286	-	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(17,471)	17,471	-
დაფარული სესხები	(4,257,651)	(165,041)	(33,041)	(4,455,733)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	(65,395)	(4,608)	-	(70,003)
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	(309,019)	(7,168)	(5,284)	(321,471)
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	13,766,025	152,105	59,036	13,977,166

8.5 გაცემული სესხები ძირის მიხედვით

2022 წელი	იპოთეკური/ სამომხმარებლო სესხი	სალომმარდე სესხი	სამომხმარებლო სესხი	საკრედიტო ხაზი	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,347,966	8,190,492	323,648	2,115,060	13,977,165
რეკლასიფიკაცია					-
დამატებები	3,590,886	12,073,478	3,285,881	30,537,997	49,488,242
გადახდილი ძირი	(2,064,846)	(9,369,965)	(3,258,373)	(30,524,450)	(45,217,633)
ძირის ჩამოწერა	-	(548,412)	-	-	(548,412)
საკურსო სხვაობა	-	(29,412)	-	(176,312)	(205,724)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,874,006	10,316,194	351,142	1,952,295	17,493,638

სს მისო ინტელექსტუალური
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 8 გაცემული სესხები (გაგრძელება)

8.5 გაცემული სესხები ძირის მიხედვით (გაგრძელება)

2021 წელი	იპოთეკური/ სამომხმარებლო სესხი	სალომმარდე სესხი	სამომხმარებლო სესხი	საკრედიტო ხაზი	სულ
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,994,531	5,594,920	444,032	1,908,255	9,941,738
დამატებები	2,581,805	12,569,004	2,127,235	32,194,336	49,472,380
გადახდილი ძირი	(1,228,370)	(9,738,293)	(2,245,940)	(31,847,027)	(45,059,630)
ძირის ჩამოწერა	-	(218,764)	-	-	(218,764)
საკურსო სხვაობა	-	(16,375)	(1,679)	(140,504)	(158,558)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,347,966	8,190,492	323,648	2,115,060	13,977,166

შენიშვნა 9 საგადასახადო აქტივები

	31-დეკ-22	31-დეკ-21
მოგების გადასახადი	42,931	-
გადახდილი დღგ	157,686	166,561
სხვა გადასახადები	49,155	9,779
სულ საგადასახადო აქტივები	249,771	176,340

შენიშვნა 10 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანია ქირაობს ქონებას მისი საკუთარი გამოყენების მიზნით, კერძოდ ოფისებისა და ფილიალებისთვის. საიჯარო კონტრაქტები არის ძირითადად ფიქსირებული ვადით 1-დან 7 წლის ჩათვლით.

აქტივის გამოყენების უფლება კონკრეტული კლასების მიხედვით 2022 და 2021 წლებისთვის მოცემულია ცხრილებში:

2022 წელი	შენიშვნები	სულ
ღირებულება		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	2,715,741	2,715,741
დამატებები	307,841	307,841
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	3,023,582	3,023,582
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(1,477,930)	(1,477,930)
პერიოდის ხარჯი	(457,680)	(457,680)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	(1,935,610)	(1,935,610)
ნარჩენი ღირებულება		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	1,237,811	1,237,811
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	1,087,972	1,087,972

სს მისო ინტელექსტარესი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 10 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

2021 წელი	შენიშვნები	სულ
ღირებულება		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	2,229,313	2,229,313
დამატებები	494,618	494,618
იჯარის მოდიფიცირება	(8,190)	(8,190)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	2,715,741	2,715,741
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	(1,043,326)	(1,043,326)
პერიოდის ხარჯი	(434,604)	(434,604)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(1,477,930)	(1,477,930)
ნარჩენი ღირებულება		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	1,185,987	1,185,987
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	1,237,811	1,237,811

2022 წლის 31 დეკემბრისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების ნაშთები არის შესაბამისად 1,087,972 ლარი და 983,087 ლარი (2021 წლის 31 დეკემბერი: 1,237,811 ლარი და 1,301,271 ლარი). საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც საპროცენტო ხარჯი და შეადგენს 89,513 ლარს (2021 წელი: 102,493 ლარი).

საიჯარო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მოკლევადიან იჯარებთან ანგარიშგებაში მიეკუთვნება საოპერაციო და ადმინისტრაციულ ხარჯებს და შეადგენს 245,138 ლარს (2021 წელი: 192,546 ლარი).

იჯარებისთვის გადახდილი მთლიანი ფულადი სახსრები 2022 წლისთვის იყო 457,684 ლარი (2021 წელი: 545,852 ლარი).

შენიშვნა 11 ძირითადი საშუალებები

2022 წელი	მიწა და შენიშვნები	კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები	ავტომობილები	საოფისე აღჭურვილობა	სხვა აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	2,485,961	487,056	150,207	163,266	904,571	4,191,061
დამატებები	118,135	37,800	9,193	45,087	155,122	365,337
გასვლები	-	(96,725)	-	(27,414)	(116,613)	(240,752)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	2,604,096	428,131	159,400	180,939	943,080	4,315,646
აკუმულირებული ცვეთა						
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(449,729)	(388,753)	(138,383)	(124,159)	(475,385)	(1,576,409)
პერიოდის ცვეთა	(53,348)	(35,849)	(5,935)	(20,388)	(149,438)	(264,958)
გასული ძირითადი საშუალებები	806	92,594	3	24,512	67,812	185,727
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	(502,271)	(332,008)	(144,315)	(120,035)	(557,011)	(1,655,640)
ნარჩენი ღირებულება						
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	2,036,232	98,303	11,824	39,107	429,186	2,614,652
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,101,825	96,123	15,085	60,904	386,069	2,660,006

სს მისო ინტელექსტარესი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 11 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2021 წელი	მიწა და შენობები	კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები	ავტომობილები	საოფისე აღჭურვილობა	სხვა აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	2,374,031	443,129	143,927	156,289	611,697	3,729,073
დამატებები	111,930	48,318	6,280	6,977	292,874	466,379
გასვლები	-	(4,391)	-	-	-	(4,391)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	2,485,961	487,056	150,207	163,266	904,571	4,191,061
აკუმულირებული ცვეთა						
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	(400,994)	(359,236)	(125,927)	(108,624)	(350,683)	(1,345,464)
პერიოდის ცვეთა	(48,735)	(33,908)	(12,456)	(15,535)	(124,702)	(235,336)
გასული ძირითადი საშუალებები	-	4,391	-	-	-	4,391
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(449,729)	(388,753)	(138,383)	(124,159)	(475,385)	(1,576,409)
ნარჩენი ღირებულება						
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	1,973,037	83,893	18,000	47,665	261,014	2,383,609
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	2,036,232	98,303	11,824	39,107	429,186	2,614,652

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ძირითადი საშუალებები ღირებულებით 1,115,339 ლარი (მთლიანი ძირითადი საშუალებების 43%) ჩადებულია უზრუნველყოფაში კომპანიის მიერ ბანკებისგან აღებული სესხისთვის.

შენიშვნა 12 არამატერიალური აქტივები

2022 წელი	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	629,845	220,234	850,079
დამატებები		47,000	47,000
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	629,845	267,234	897,079
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	(357,354)	(170,963)	(528,317)
პერიოდის ცვეთა		(60,578)	(60,578)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	(357,354)	(231,541)	(588,895)
ნარჩენი ღირებულება			
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	272,491	35,693	308,184
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	272,491	35,693	308,184
2021 წელი	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	629,845	193,779	823,624
დამატებები	-	26,455	26,455
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	629,845	220,234	850,079
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	(289,591)	(156,128)	(445,719)
პერიოდის ცვეთა	(67,763)	(14,835)	(82,598)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	(357,354)	(170,963)	(528,317)
ნარჩენი ღირებულება			
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	340,254	37,651	377,905
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	272,491	49,271	321,762

შენიშვნა 13 გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი

გადავადებული გადასახადის კომპონენტები: აქტივი / (ვალდებულება)

	31-დეკ-22	31-დეკ-21
ძირითადი საშუალებები	(143,173)	(119,212)
არამატერიალური აქტივები	(6,103)	(1,059)
აქტივის გამოყენების უფლება	(161,608)	(185,672)
მიღებული სესხები	(2,131)	(2,954)
ფულადი გზავნილების კომპანიებისთვის გადასახდელი თანხები	2,370	(237)
საიჯარო ვალდებულებები	144,920	195,936
სხვა ვალდებულებები	636	(499)
გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	(165,087)	(113,697)

გადასახადების გადავადების მიზეზები მოკლედ ქვემოთ არის მოცემული:

ფულადი გზავნილების კომპანიებისგან მისაღები თანხები - ფულადი გზავნილების კომპანიებისგან მისაღები თანხები ასახულია, როგორც საეჭვო და უიმედო ვალები, რომლებიც საგადასახადო მიზნებისათვის არ აღიარდება გარკვეული ადმინისტრაციული და სამართლებრივი პროცედურების დასრულებამდე. ამ დრომდე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული და საგადასახადო მიზნებისათვის გაუთვალისწინებელი უიმედო ვალები წარმოშობს გადავადებულ გადასახადს.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები - საქართველოს საგადასახადო კოდექსს და ფასის-ს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები აქტივების აღიარების კრიტერიუმებში, ცვეთის/ამორტიზაციის მეთოდებში, სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრაში და გაუფასურების ზარალის აღიარებაში, რომლებიც წარმოშობს განსხვავებებს ფასის-ის მიერ განსაზღვრულ ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებსა და ამ აქტივების საგადასახადო ბაზას შორის. ეს სხვაობები წარმოშობს გადავადებულ გადასახადებს. ასევე, ზოგიერთი ძირითადი საშუალების ჩამოწერა, რომელიც ასახულია ფასის-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ პერიოდში შეიძლება გამოიქვეყნოს საგადასახადო მიზნებისთვის მხოლოდ შემდგომ პერიოდში, როცა მოხდება კონკრეტული ადმინისტრაციული პროცედურების დასრულება.

აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები - საქართველოს საგადასახადო კოდექსს და ფასის-ს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები აქტივების აღიარების კრიტერიუმებში, კერძოდ ფასის-ის მიხედვით იჯარა ხარჯად აღიარდება ცვეთის და საპროცენტო ხარჯის სახით, ხოლო საგადასახადო კოდექსის მიხედვით ხარჯად აღიარდება მხოლოდ საკონტრაქტო ღირებულება.

მიღებული სესხები - არარეზიდენტი კომპანიებისა და ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯები გამოიქვეყნება საგადასახადო მიზნებისათვის საკასო მეთოდით, ანუ მათი გადახდისას. თუმცა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

ფულადი გზავნილების კომპანიებისთვის გადასახდელი თანხები - არარეზიდენტი კომპანიებისათვის გადასახდელი საკომისიოები გამოიქვეყნება საგადასახადო მიზნებისათვის საკასო მეთოდით, ანუ მათი გადახდისას. თუმცა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ვალდებულებები - არარეზიდენტი კომპანიებისა და ფიზიკური პირებისადმი არსებული სხვა ვალდებულებები გამოიქვეყნება საგადასახადო მიზნებისათვის საკასო მეთოდით, ანუ მათი გადახდისას. თუმცა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

ცვლილება გადავადებულ გადასახადში წლის განმავლობაში	2022 წელი	2021 წელი
წლის დასაწყისი - აქტივი (ვალდებულება)	(112,035)	(76,545)
ცვლილება წლის განმავლობაში - სარგებელი /(ხარჯი)	(53,052)	(37,152)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება წლის ბოლოს	(165,087)	(113,697)

მიმდინარე წლის მოგების გადასახადის ხარჯი	2022 წელი	2021 წელი
ნორმატიული საგადასახადო ხარჯი	(957,893)	(685,517)
ეფექტი გადავადებულ გადასახადზე	(53,052)	(37,152)
სულ მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	(1,010,945)	(722,669)

სს მისო ინტელექსარესი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 14 სხვა აქტივები

	31-დეკ-22	31-დეკ-21
მარაგები	43,145	116,550
დასაკუთრებული უზრუნველყოფა	175,678	114,277
სავაჭრო მოთხოვნები	372,059	47,790
მიღებული / გადახდილი საბანკო გარანტია	27,020	30,976
სხვა აქტივები	20,749	11,704
სულ სხვა აქტივები	638,651	321,297

შენიშვნა 15 მიღებული სესხები

	31-დეკ-22	31-დეკ-21
სხვა დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	220,378	337,460
სხვა პირებისგან მიღებული სესხები	9,263,646	10,335,054
პროცენტი	138,137	155,167
სულ მიღებული სესხები	9,622,161	10,827,681

კომპანიას მიღებული აქვს სესხები დამფუძნებლებისგან, დაკავშირებული მხარეებისგან და სხვა არადაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან (მათ შორის ბანკებისგან). სესხების აღება ძირითადად ხდება ა.შ.შ დოლარში წლიური 6%-14% საპროცენტო განაკვეთით, თუმცა იშვიათ შემთხვევებში სასესხო პროცენტმა შეიძლება შეადგინოს 2% ან 15% წლიური პროცენტი. სასესხო ხელშეკრულებების მიხედვით საპროცენტო განაკვეთები ფიქსირებულია და არ არის დაკავშირებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასზე. სესხის საკონტრაქტო ხანგრძლივობა მერყეობს 1 წლიდან 2 წლამდე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე შეიძლება კიდევ უფრო გახანგრძლივდეს.

მიღებული სესხის ძირი თანხების განაწილება ვადიანობის მიხედვით	31-დეკ-22	31-დეკ-21
1 წელზე ნაკლები	8,222,290	5,727,525
1-დან 3 წლამდე	1,261,734	4,944,989
სულ მიღებული სესხები	9,484,024	10,672,514

შემდეგი ცხრილები აჩვენებს აღებული სესხების ძირი თანხის ცვლილებებს პერიოდში:

2022 წელი	იურიდიული პირები	ფიზიკური პირები	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,404,058	8,268,456	10,672,514
მიღებული სესხის ძირის თანხა	3,652,942	5,439,095	9,092,037
გადახდილი ძირი	(3,599,240)	(5,658,316)	(9,257,556)
საკურსო სხვაობა	(187,094)	(835,876)	(1,022,970)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,270,666	7,213,358	9,484,024
2021 წელი	იურიდიული პირები	ფიზიკური პირები	სულ
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,474,606	7,782,160	9,256,766
მიღებული სესხის ძირის თანხა	4,978,952	1,814,490	6,793,442
რეკლასიფიკაცია	-	(8,730)	(8,730)
გადახდილი ძირი	(3,968,784)	(859,859)	(4,828,643)
საკურსო სხვაობა	(80,716)	(459,605)	(540,321)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,404,058	8,268,456	10,672,514

სს მისო ინტელექსპრესი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 16 გადასახდელი გადასახადები

	31-დეკ-22	31-დეკ-21
გადასახდელი მოგების გადასახადი	320,807	81,814
გადასახდელი დღგ	38,717	19,645
გადასახდელი ქონების გადასახადი	28,630	1,356
სულ გადასახდელი გადასახადები	388,154	102,815

შენიშვნა 17 სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-22	31-დეკ-21
გადასახდელი ხელფასები	269,527	192,676
მიღებული ავანსები	-	78,670
ვადგასული მიღებული სესხების კონტრაქტები	47,085	66,638
სავაჭრო ვალდებულებები	107,695	65,101
გადასახდელი იჯარა	24,254	18,590
სხვა ვალდებულებები	123,936	42,489
სულ სხვა ვალდებულებები	572,497	464,164

შენიშვნა 18 სააქციო კაპიტალი

სს მისო ინტელექსპრესის სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია ლარში კომპანიის წესდების თანახმად. დამტკიცებული სააქციო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის შედგება 20,000 ჩვეულებრივი და 200 პრივილეგირებული აქციისგან. თითოეული აქციის ღირებულება შეადგენს შესაბამისად 100 ლარს და 1,000 ლარს. ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დივიდენდი საკუთარი აქციების პროპორციულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების მიხედვით. ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს აქვთ ხმის უფლება აქციონერთა კრებაზე, პრივილეგირებული აქციების მფლობელებისგან განსხვავებით.

კომპანიის სააქციო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

ავტორიზებული სააქციო კაპიტალი	31-დეკ-22		31-დეკ-21	
	აქციების რაოდენობა	ავტორიზებულ ი სააქციო კაპიტალი	აქციების რაოდენობა	ავტორიზებულ ი სააქციო კაპიტალი
ჩვეულებრივი აქციები	20,000	2,000,000	20,000	2,000,000
პრივილეგირებული აქციები	200	200,000	200	200,000
სულ ავტორიზებული სააქციო კაპიტალი	20,200	2,200,000	20,200	2,200,000

ავტორიზებული სააქციო კაპიტალი აღიარდება კომპანიის სააქციო კაპიტალად რამდენადაც ის რეალურად ჩადებულია კომპანიის აქციონერების მიერ. კომპანიის სააქციო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის არის:

სააქციო კაპიტალი	31-დეკ-22		31-დეკ-21	
	აქციების რაოდენობა	სააქციო კაპიტალი	აქციების რაოდენობა	სააქციო კაპიტალი
ჩვეულებრივი აქციები	10,000	1,000,000	10,000	1,000,000
პრივილეგირებული აქციები	200	200,000	200	200,000
გამოსყიდული აქციები (პრივილეგირებული)	(100)	(100,000)	(100)	(100,000)
სულ სააქციო კაპიტალი	10,100	1,100,000	10,100	1,100,000

დივიდენდები

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა 1,380,501 ლარის ოდენობის (2021: 1,605,000 ლარი) დივიდენდი, რაც მოიცავს 138 ლარს ერთ ჩვეულებრივ აქციაზე და 55 ლარს ერთ პრივილეგირებულ აქციაზე (2021: 160 ლარი ერთ ჩვეულებრივ აქციაზე და 55 ლარი ერთ პრივილეგირებულ აქციაზე).

სს მისო ინტელექტსპარესი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 19 საპროცენტო შემოსავალი

	2022 წელი	2021 წელი
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	3,361,749	2,682,454
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	26,103	40,205
სულ საპროცენტო შემოსავალი	3,387,852	2,722,659

შენიშვნა 20 საპროცენტო ხარჯი

	2022 წელი	2021 წელი
საპროცენტო ხარჯი მიღებული სესხებიდან	738,393	660,634
საპროცენტო ხარჯი საბანკო გარანტიებიდან	12,392	13,688
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებიდან	89,513	102,493
სულ საპროცენტო ხარჯი	840,298	776,815

შენიშვნა 21 საკომისიო შემოსავლები, წმინდა

	2022 წელი	2021 წელი
საკომისიო შემოსავლები	12,487,189	13,080,644
საკომისიო ხარჯი	(7,814,185)	(8,542,455)
სულ საკომისიო შემოსავლები, წმინდა	4,673,004	4,538,189

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები მოიცავს ფულადი გზავნილების კომპანიებთან განხორციელებული ოპერაციების შედეგად ღარიცხულ საკომისიოს თანხებს.

შენიშვნა 22 მოგება სავალუტო ოპერაციებიდან

	2022 წელი	2021 წელი
შემოსავლები სავალუტო ოპერაციებიდან	11,663,893	7,663,629
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(4,723,545)	(2,322,955)
სულ მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	6,940,348	5,340,674

შენიშვნა 23 შემოსავალი ჯარიმებიდან

შემოსავალი ჯარიმებიდან წარმოადგენს კომპანიის მომხმარებლების მიერ (მსესხებლები) ვადაგადაცილებული სესხების, ასევე, სესხის წინასწარ დაფარვისას გადახდილ პირგასამტეხლოებს, რამაც 2022 წლის განმავლობაში ჯამურად შეადგინა 295,965 ლარი (2021 წელი: 220,194 ლარი).

შენიშვნა 24 სხვა შემოსავალი

	2022 წელი	2021 წელი
ჩამოწერილი სესხების აღდგენით მიღებული შემოსავალი	109,221	91,583
საშემოსავლო გადასახადის სუბსიდიებიდან მიღებული შემოსავალი	-	89,257
საიჯარო შემოსავალი	43,932	88,425
სხვა შემოსავალი	174,044	22,123
სულ სხვა შემოსავალი	327,197	291,388

სს მისო ინტელექსტუალური
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 25 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წელი	2021 წელი
პერსონალის ხარჯები	4,820,195	4,065,016
ცვეთა და ამორტიზაცია	778,904	752,538
კომუნიკაციის ხარჯები	526,921	518,905
საოფისე ხარჯები (იჯარა, ინვენტარი და ა.შ.)	570,059	462,294
მასტერქარდის მომსახურების ხარჯი	419,946	437,152
საბანკო ხარჯი	314,299	341,757
საგადასახადო ხარჯები	362,469	304,177
ლომბარდის მომსახურების საფასური	159,088	122,718
მივლინება და წამომადგენლობითი ხარჯები	138,205	90,829
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	60,607	74,109
სახელმწიფო ჯარიმა	-	73,161
რეკლამა	119,682	64,523
დაცვის ხარჯი	58,697	56,452
სატრანსპორტო საშუალებების იჯარა და შენახვის ხარჯები	95,461	55,835
მონაცემთა ბაზით სარგებლობის ხარჯი	32,824	25,188
სხვა საერთო ხარჯები	286,798	133,229
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	8,744,155	7,577,883

შენიშვნა 26 ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან

	2022 წელი	2021 წელი
შემოსავლები სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	3,910,780	3,734,867
ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(3,541,892)	(3,910,496)
სულ ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	368,888	(175,629)

შენიშვნა 27 ფინანსური რისკების მართვა

27.1 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მოგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კომპანიისთვის.

მენეჯმენტი აკონტროლებს სავალუტო რისკს იმით, რომ ცდილობს აქტივები და ვალდებულებები ერთი და იმავე ვალუტაში ჰქონდეს.

შემდეგ გვერდზე მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში). ინვესტიციები არაფულად აქტივებში არ წარმოშობს სავალუტო რისკებს.

სს მისო ინტელექტუალური
ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

27.1 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრისათვის	ლარი	დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,580,323	9,479,548	8,978,366	3,343,075	25,381,312
ფულადი გზავნილების კომპანიებისგან მისაღები თანხები	186,606	1,823,348	7,433,617	2,950,697	12,394,268
გაცემული სესხები	16,581,214	163,192	744,238	-	17,488,644
სხვა აქტივები (გარდა არაფინანსური აქტივებისა)	180,234	239,595	-	-	419,829
სულ ფინანსური აქტივები	20,528,377	11,705,683	17,156,221	6,293,772	55,684,053
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	2,343,635	6,750,910	527,617	-	9,622,161
ფულადი გზავნილების კომპანიებისგან გადასადგომი ოანხები	1,836,111	11,313,105	16,077,923	2,065,386	31,292,526
საიჯარო ვალდებულებები	414,227	554,098	14,763	-	983,087
სხვა ვალდებულებები (გარდა არაფინანსური ვალდებულებებისა)	161,449	145,703	15,660	-	322,812
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,755,422	18,763,815	16,635,963	2,065,386	42,220,586
წმინდა სავალუტო პოზიცია	15,772,955	(7,058,132)	520,258	4,228,386	
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	ლარი	დოლარი	ევრო	სხვა ვალუტები	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,109,883	5,335,314	12,307,480	2,651,826	23,404,503
ფულადი გზავნილების კომპანიებისგან მისაღები თანხები	89,655	1,692,579	4,388,294	4,473,990	10,644,518
გაცემული სესხები	12,761,282	254,269	987,899	-	14,003,450
სხვა აქტივები (გარდა არაფინანსური აქტივებისა)	49,150	38,548	2,772	-	90,470
სულ ფინანსური აქტივები	16,009,970	7,320,710	17,686,445	7,125,816	48,142,941
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	1,908,275	8,078,258	841,148	-	10,827,681
ფულადი გზავნილების კომპანიებისგან გადასადგომი თანხები	1,812,169	7,570,618	16,551,209	621,143	26,555,139
საიჯარო ვალდებულებები	123,509	1,177,762	-	-	1,301,271
სხვა ვალდებულებები (გარდა არაფინანსური ვალდებულებებისა)	298,200	59,870	27,418	6	385,494
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,142,153	16,886,508	17,419,775	621,149	39,069,585
წმინდა სავალუტო პოზიცია	11,867,817	(9,565,798)	266,670	6,504,667	

შენიშვნა 27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

27.1 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელობის დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან კაპიტალში, დადებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი.

ვალუტა	ცვლილება კურსში	2022 წელი		2021 წელი	
		გავლენა მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარი	-10%	(705,813)	(599,941)	(956,580)	(813,093)
	-5%	(352,907)	(299,971)	(478,290)	(406,546)
	5%	352,907	299,971	478,290	406,546
	10%	705,813	599,941	956,580	813,093

სავალუტო რისკი წარმოიშობა, როდესაც კომპანია აფორმებს გარიგებებს უცხოურ ვალუტაში, გარდა მისი ფუნქციური ვალუტისა. სავალუტო რისკისგან დასაზღვევად, კომპანია შედის სვოპ კონტრაქტებში საქართველოს რეზიდენტ ბანკებთან.

27.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად მის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას.

მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადიანობის ანალიზს კომპანიის არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

2022 წლის 31 დეკემბრისათვის	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 3 წლამდე ვადის მქონე	3-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	25,381,312	-	-	-	25,381,312
ფულადი გზავნილების კომპანიებისგან მისაღები თანხები	12,394,268	-	-	-	12,394,268
გაცემული სესხები	9,933,952	1,962,535	1,450,834	4,141,323	17,488,644
სხვა აქტივები (გარდა არაფინანსური აქტივებისა)	419,829	-	-	-	419,829
სულ ფინანსური აქტივები	48,129,361	1,962,535	1,450,834	4,141,323	55,684,053
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	8,360,428	1,261,733	-	-	9,622,161
ფულადი გზავნილების კომპანიებისთვის გადასახდელი თანხები	31,292,526	-	-	-	31,292,526
საიჯარო ვალდებულებები	74,456	908,630	-	-	983,087
სხვა ვალდებულებები (გარდა არაფინანსური ვალდებულებებისა)	572,497	-	-	-	572,497
სულ ფინანსური ვალდებულებები	40,299,907	2,170,363	-	-	42,470,270
ლიკვიდურობის სხვაობა	7,829,454	(207,828)	1,450,834	4,141,323	13,213,783
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	7,829,454	7,621,626	9,072,459	13,213,783	

შენიშვნა 27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

27.2 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრისათვის	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 3 წლამდე ვადის მქონე	3-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	23,404,503	-	-	-	23,404,503
ფულადი გზავნილების კომპანიებისგან მისაღები თანხები	10,644,518	-	-	-	10,644,518
გაცემული სესხები	8,719,359	1,400,470	2,720,175	1,163,446	14,003,450
სხვა აქტივები (გარდა არაფინანსური აქტივებისა)	90,470	-	-	-	90,470
სულ ფინანსური აქტივები	42,858,850	1,400,470	2,720,175	1,163,446	48,142,941
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	5,882,692	4,944,989	-	-	10,827,681
ფულადი გზავნილების კომპანიებისთვის გადასახდელი თანხები	26,555,139	-	-	-	26,555,139
საიჯარო ვალდებულებები	400,849	687,041	207,941	5,440	1,301,271
სხვა ვალდებულებები (გარდა არაფინანსური ვალდებულებებისა)	385,494	-	-	-	385,494
სულ ფინანსური ვალდებულებები	33,224,174	5,632,030	207,941	5,440	39,069,585
ლიკვიდურობის სხვაობა	9,634,676	(4,231,560)	2,512,234	1,158,006	9,073,356
შეზღუდული ლიკვიდურობის სხვაობა	9,634,676	5,403,116	7,915,350	9,073,356	

27.3 საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებებიდან, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფულად ნაკადებზე ან ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიის საოპერაციო შემოსავალი და ფულადი ნაკადები არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები და ვალდებულებები, ყველა ამ ინსტრუმენტს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც არ არის დამოკიდებული ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთების მერყეობაზე.

27.4 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან, სესხებიდან და მოთხოვნებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
ფული და ფულის ეკვივალენტები (ფული ბანკში)	16,200,490	15,615,294
ფულადი გზავნილების კომპანიებისგან მისაღები თანხები	12,394,268	10,644,518
გაცემული სესხები	17,488,644	14,003,450
სულ საკრედიტო რისკი	46,083,402	40,263,262

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია ძალიან სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს კომპანიისათვის. კომპანია ამ რისკს მართავს სესხის გაცემის სანაცვლოდ უზრუნველყოფის მოთხოვნით და სესხი/უზრუნველყოფის კოეფიციენტის საკმარისად მაღალ დონეზე შენარჩუნებით, რათა მოხდეს ყველა შესაძლო დანაკარგის რისკის გადაფარვა.

ფულადი გზავნილების კომპანიებისგან მისაღები თანხები იფარება ანგარიშგების თარიღიდან მოკლე ვადაში. შესაბამისად, ამ მოთხოვნების მოკლევადიანი ბუნებიდან გამომდინარე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი არ აღიარდება 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შენიშვნა 27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

27.4 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

კომპანიას გააჩნია პოლიტიკა და პროცედურები რისკების სამართავად, მათ შორის საკრედიტო კომიტეტი, რომელიც სასესიო აპლიკაციაში მოცემული ინფორმაციის ანალიზს ახდენს, რაც ამასთანავე აფასებს და ამცირებს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკის გადახედვა და დამტკიცება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

დამატებით, კომპანია ქმნის გაუფასურების ანარიცხს გაცემული სესხებისთვის და შესაბამისად საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებაში. კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარავი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

გაცემული სესხების საკრედიტო რისკსა და გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

შენიშვნა 28 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

28.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებულ იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილ იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

28.2 რეალური ღირებულების იერარქია

კომპანია შემდეგ იერარქიას იყენებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისათვის:

დონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.

დონე 2 შემაჯავლი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემაჯავლი მონაცემი ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

დონე 3 არათვალსაჩინო რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება თვალსაჩინო მონაცემებს და ხელმისაწვდომი შემაჯავლი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

სს მისო ინტელექტსპარესი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 29 კაპიტალის ადეკვატურობა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს საქართველოს ეროვნული ბანკი უსაზღვრავს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 1 მილიონ ლარს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს მისო ინტელექტსპარესის სააქციო კაპიტალი არის 1,100,000 ლარი. კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს.

შენიშვნა 30 დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2022	გადასახდელი ხელფასები	მიღებული სესხები	საიჯარო ვალდებულებები	გაცემული სესხი	სხვა აქტივები	სხვა ვალდებულება
აქციონერები	-	100,846	-	-	-	-
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	-	216,395	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	327,903	79,622	209,807	6,322	24,893
სულ	-	428,749	79,622	426,203	6,322	24,893

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წელი	საპროცენტო ხარჯი	გადახდილი სესხი	გადახდილი პროცენტი	საპროცენტო შემოსავალი	ხელფასის ხარჯი	სხვა ხარჯი	ლომბარდის მომსახურების ხარჯი
აქციონერები	14,700	14,700	-	-	39,889	-	-
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	1,092	203,825	8,553	31,364	203,499	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	18,253	3,650,447	117,748	33,931	355,435	43,932	500,642
სულ	34,046	3,868,972	126,301	65,295	598,823	43,932	500,642

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2021	გადასახდელი ხელფასები	მიღებული სესხები	საიჯარო ვალდებულებები	გაცემული სესხი	სხვა აქტივები	სხვა ვალდებულება
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	-	121,399	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	62,500	340,903	53,444	217,014	22,800	53,591
სულ	62,500	340,903	53,444	338,413	22,800	53,591

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წელი	საპროცენტო ხარჯი	გადახდილი სესხი	გადახდილი პროცენტი	საპროცენტო შემოსავალი	ხელფასის ხარჯი	სხვა ხარჯი	ლომბარდის მომსახურების ხარჯი
აქციონერები	-	-	-	-	37,902	-	-
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	27,255	18,821	229,302	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	22,730	1,820,412	277,475	71,711	311,960	97,603	119,955
სულ	22,730	1,820,412	304,730	90,532	579,165	97,603	119,955

შენიშვნა 31 პირობითი ვალდებულებები

31.1 სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანია ჩართულია სასამართლო დავებში იმ კლიენტებთან, რომლებმაც დაარღვიეს სასესხო ხელშეკრულების პირობები. ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

შენიშვნა 32 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შენიშვნა 33 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინასთან, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი ჯერ კიდევ გრძელდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შეჭრა საერთაშორისო მასშტაბით დაგეგმეს. ბევრმა ქვეყანამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. კომპანია აფასებს ზემოაღნიშნული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიდან წარმოშობილ გავლენებს, როგორც მნიშვნელოვანს. ერთის მხრივ, უკრაინა კომპანიის მნიშვნელოვანი ბაზარია, თუმცა, მეორეს მხრივ კომპანიის ძირითად კონკურენტებს რუსული ფულადი გზავნილების სისტემები წარმოადგენენ და რუსეთის წინააღმდეგ მიღებულმა სანქციებმა დამატებითი შესაძლებლობები გააჩინა ალტერნატიულ ბაზრებზე. საბოლოო ჯამში, ომის დაწყების შემდგომ კომპანიის ბრუნვები სტაბილურია, სამომავლოდ კი, უკრაინაში სიტუაციის დარეგულირებასთან ერთად, პოზიტიური ზრდაა მოსალოდნელი.

ბალანსის თარიღის შემდგომ კომპანიამ გამოაცხადა ღირებულებები ჩვეულებრივ აქციებზე 1,300,000 ლარის ოდენობით.

2023 წლის აპრილში მისო ინტელექსტარესმა შეიძინა სს "ბალავარის" 115,000 ცალი ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივი აქცია.

2023 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 1,000,000 ლარით

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად

სს „მისო ინტელექსპრესის“ პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება სს „მისო ინტელექსპრესის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 16 ივნისს რომელიც მოიცავდა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ პერიოდს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობითი ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2023 წლის 8 სექტემბერს წარმოდგენილი მმართველობითი ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 2023 წლის 28 სექტემბერი

თბილისი, საქართველო





მმართველობის ანგარიშგება

ინტელექსპრესი | 2022 წ

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს სს მისო „ინტელექსპრესის“ ძირითადი მიზნები და ის ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება კომპანიის საქმიანობა. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კომპანიის დაარსებიდან განვლილი პერიოდის მოკლე აღწერას, ამ მანძილზე არსებული მიღწევებისა და კომპანიის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას.

დოკუმენტი აერთიანებს კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და მომხმარებელთათვის შეთავაზებული პროდუქტების შესახებ ინფორმაციას. ამასთანავე, წინამდებარე დოკუმენტი აცნობს მის მკითხველს კომპანიის მიერ დასახულ სამომავლო გეგმებსა და ბიზნესის განვითარების შესახებ ძირითად ხედვას. მმართველობითი ანგარიშგება ასევე შეიცავს ინფორმაციას იმ არსებითი რისკების შესახებ, რომელიც ქმნის ან შესაძლოა შექმნას წინაღობები ბიზნესის საქმიანობაში და კომპანიის მიერ შემუშავებულ გეგმებს მათი თავიდან აცილებისა და მათთან გამკლავების მიზნით.

დავით თავართქილაძე

გენერალური დირექტორი

სს/მისო ინტელექსპრესი

თარიღი: სექტემბერი 8, 2023

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს სს მისო „ინტელექსპრესის“ ძირითადი მიზნები და ის ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება კომპანიის საქმიანობა. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კომპანიის დაარსებიდან განვლილი პერიოდის მოკლე აღწერას, ამ მანძილზე არსებული მიღწევებისა და კომპანიის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას.

დოკუმენტი აერთიანებს კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და მომხმარებელთათვის შეთავაზებული პროდუქტების შესახებ ინფორმაციას. ამასთანავე, წინამდებარე დოკუმენტი აცნობს მის მკითხველს კომპანიის მიერ დასახულ სამომავლო გეგმებსა და ბიზნესის განვითარების შესახებ ძირითად ხედვას. მმართველობითი ანგარიშგება ასევე შეიცავს ინფორმაციას იმ არსებითი რისკების შესახებ, რომელიც ქმნის ან შესაძლოა შექმნას წინაღობები ბიზნესის საქმიანობაში და კომპანიის მიერ შემუშავებულ გეგმებს მათი თავიდან აცილებისა და მათთან გამკლავების მიზნით.

დავით თავართქილაძე



გენერალური დირექტორი

სს/მისო ინტელექსპრესი

თარიღი: სექტემბერი 8, 2023

შესავალი	1
სარჩევი.....	2
კომპანიის შესახებ	3
კომპანიის საქმიანობა.....	5
ფულადი გზავნილების განხორციელების მომსახურება	5
ვალუტის კონვერტაციის მომსახურება.....	5
საკრედიტო მომსახურება	5
ინფორმაცია ფილიალების შესახებ.....	6
ინფორმაცია კომპანიის ძირითადი პარტნიორების შესახებ.....	6
კომპანიის წილი ფულადი გზავნილების ბაზარზე	7
კომპანიის განვითარების გეგმა	7
რისკების მართვა	8
საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.....	9
წარმოებული კვლევები.....	9
რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა.....	9
დანართი N1	10

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ინტელექსპრესი“ დაფუძნდა 2006 წლის 28 სექტემბერს. თავდაპირველად კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად განისაზღვრა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა კი განხორციელდა 2018 წლის 13 თებერვალს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი კომპანიამ მოიპოვა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2007 წლის 23 მარტის N143 განკარგულების საფუძველზე. აღნიშნული განკარგულების თანახმად, კომპანია დარეგისტრირდა საქართველოს ეროვნულ ბანკში N70307 სარეგისტრაციო ნომრით და გახდა უფლებამოსილი განხორციელებინა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული საქმიანობა.¹

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: ფულადი გზავნილების, საკრედიტო მომსახურებისა და სავალუტო ოპერაციების განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ კომპანია წარმოადგენს საერთაშორისო ფულადი გზავნილების სისტემა - „ინტელექსპრესის“ საოპერაციო და საპროცესინგო ცენტრს. განვლილი პერიოდის მანძილზე ბანკებთან, ფინანსურ ინსტიტუტებსა და საგადახდო სისტემებთან თანამშრომლობის დამყარების საფუძველზე მსოფლიო მასშტაბით, კომპანიამ შეძლო ფულადი გზავნილების სფეროში საქმიანობის არეალის გაფართოება. დღევანდელი მდგომარეობით ფულადი გზავნილების განმახორციელებელი სისტემა ინტელექსპრესი წარმოდგენილია მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში.


კომპანიას მამოძრავებელ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ემიგრანტებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის ფინანსური სერვისების შეთავაზებას.

კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, რომლის კომპეტენციაც მოიცავს კომპანიის არსებით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას. კომპანიის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს 3 პირისაგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო კომპანიის საქმიანობის ყოველდღიურ მართვას კი გენერალური დირექტორი.²

¹ იხ. დანართი N1

² დეტალური ინფორმაცია მმართველობით ორგანოთა კომპეტენციების შესახებ იხ. კომპანიის წესდებაში, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<https://napr.gov.ge/>).

კომპანიის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა



ინტელექსპრესი საქართველოში წარმოადგენს საერთაშორისო ფულადი გზავნილების განმახორციელებელ ერთ-ერთ წამყვან სისტემას, რომელიც ქვეყნის მასშტაბით 2022 წელს იკავებდა ბაზრის 8%-ს. კომპანია საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია 23 ფილიალით და აერთიანებს 220 მაღალ კვალიფიციურ თანამშრომელს. კომპანიის მმართველობით პოზიციებს იკავებენ პროფესიონალები, რომელთაც აქვთ საბანკო და ფულადი გზავნილების ინდუსტრიაში მოღვაწეობის 20 წელზე ხანგრძლივი გამოცდილება.

დაფუძნების დღიდან კომპანიის არსებობის 16 წლიანი პერიოდის მანძილზე, ინტელექსპრესმა შეძლო დაემკვიდრებინა ფულადი გზავნილების სფეროში წამყვანი პოზიცია საქართველოს ტერიტორიაზე და გაეფართოვებინა საქმიანობის არეალი ამ დარგში მის ფარგლებს გარეთ.

2006 წელი - ინტელექსპრესის დაფუძნება; საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაცია და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის მოპოვება;

2007 წელი - ინტელექსპრესის თანამშრომლობა გენერალურ პარტნიორთან - "IntelExpress Payment Institute S.A."

- პარტნიორების ჩართვა დსთ-ს ქვეყნებში: უკრაინა, მოლდავეთი, სომხეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი...

2008 წელი - პარტნიორთა ქსელის გაფართოება ევროპის ქვეყნებში: იტალია, ესპანეთი, რუმინეთი, პოლანდია, ბელგია.

2009 წელი - პარტნიორთა ქსელის გაფართოება აზიის ქვეყნებში: ფილიპინები, ინდონეზია, ისრაელი, ეგვიპტე...

- სალომზარდე სესხების ბაზარზე შესვლა

2010 წელი - აქტიურად შესვლა დიდ ბრიტანეთის ბაზარზე, პარტნიორ "Tabori Transfer Ltd"-სთან თანამშრომლობით.

- პარტნიორთა ქსელის გაფართოება შორეულ ადმოსავლეთში: ჩინეთი, მონღოლეთი, ვიეტნამი...

2011 წელი - საქართველოს ბაზარზე არსებული კომერციული ბანკების მეშვეობით იპოთეკური სესხების ბაზარზე შესვლა

- უკრაინის ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო საგადახდო სისტემად რეგისტრაცია

2012 წელი - სომხურ ბაზარზე მოქმედ 13 ბანკთან თანამშრომლობის დამყარება

2013 წელი - დასავლეთ ევროპის 5 საგადახდო სისტემასთან თანამშრომლობის დამყარება

- იპოთეკური სესხების ბაზარზე საკუთარი კაპიტალით შესვლა

2015 წელი - MasterCard-ის სისტემის ძირითადი წევრის სტატუსის მოპოვება

- უკრაინის ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო საგადახდო სისტემის რეგისტრაციის განახლება

2016 წელი - საქართველოს მასშტაბით ფილიალების გახსნა

2017 წელი - ყაზახეთის ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო საგადახდო სისტემად რეგისტრაცია

2018 წელი - უკრაინაში „მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის“ სტატუსის მინიჭება

2020 წელი - სეპას გადახდების დაწყება საქართველოში.

2021 წელი - საქმიანობის დაწყება თურქეთში

კომპანიის საქმიანობა

ფულადი გზავნილების განხორციელების მომსახურება

კომპანიამ ფულადი გზავნილების სფეროში საქმიანობის განხორციელება დაიწყო 2007 წელს ეროვნულ ბანკში მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციის შემდგომ. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ფულადი გზავნილების განხორციელებას:

- საერთაშორისო დონეზე;
- ლოკალურ დონეზე.

სისტემა ძირითადად ემსახურება ფულად გზავნილებს ევროპის ქვეყნებიდან, ყოფილი დსთს ქვეყნების და მორეული აზიის მიმართულებით. როგორებიცაა: უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, უზბეკეთი და სხვა, ხოლო მორეულ აზიაში ფილიპინები, პაკისტანი, ბანგლადეში, ინდონეზია და ა.შ.

ვალუტის კონვერტაციის მომსახურება

კომპანია მომხმარებელს ვალუტის კონვერტაციის სერვისს სთავაზობს 2007 წლიდან ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ინტელექსპრესი წარმოადგენს ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის მონაწილეს. აღნიშნული კომპანიას აძლევს შესაძლებლობას ივაჭროს ფინანსური ინსტიტუტების ძირითად სავაჭრო პლატფორმაზე დამოუკიდებლად და შესაბამისად, შესთავაზოს მომხმარებელს ვალუტის კონვერტაციისათვის კონკურენტული პირობები. ინტელექსპრესი კონვერტაციებს ატარებს 35-ზე მეტ ვალუტაში. შემოსავალმა სავალუტო საქმიანობიდან შეადგინა 6,9 მლნ ლარი, რაც 1,6 მლნ ლარით მეტია წინა წლის იგივე მაჩვენებელზე.

საკრედიტო მომსახურება

ინტელექსპრესი მიკრო დაკრედიტების ბაზარს შეუერთდა 2009 წელს. კომპანიამ თავდაპირველად საკრედიტო მომსახურება დაიწყო მომხმარებელთათვის სალომბარდე სესხების შეთავაზებით. ამჟამად სალომბარდე სესხები პორტფელის 60%-ზე მეტს შეადგენს.

2011 წელს კომპანიამ ერთ-ერთ ქართულ ბანკთან თანამშრომლობით დაიწყო იპოთეკური სესხების გაცემა. დასახელებული იპოთეკური სესხების გაცემის პროცესში ინტელექსპრესი წარმოადგენდა შუამავალ რგოლს ბანკსა და კომპანიის ერთგულ მომხმარებელს შორის. 2014 წლიდან კომპანიამ იპოთეკური სესხების გაცემა დაიწყო საკუთარი რესურსით.

იპოთეკურ დაკრედიტებას კომპანია სთავაზობს მომხმარებლებს მათი ფინანსური მდგომარეობის შესწავლის შემდგომ. იპოთეკური სესხის განაცხადის დეტალური შესწავლა/ანალიზი ხორციელდება კომპანიაში დასაქმებული მაღალ-კვალიფიციური საკრედიტო ოფიცრების მიერ, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება იპოთეკური სესხების გაცემის შესახებ მიიღება გენერალური დირექტორის, კომპანიის საკრედიტო და იურიდიული განყოფილებების უფროსებისაგან დაკომპლექტებული საკრედიტო კომიტეტის მიერ.

საკრედიტო მომსახურების კუთხით კომპანია მომხმარებელს სთავაზობს შემდეგ პროდუქტებს:

- სალომბარდე სესხები - სწრაფი, მოკლე-ვადიანი სესხის სახე, რომლის უზრუნველყოფაც ხორციელდება ძვირფასი ლითონებით დამზადებული ნაკეთობებით;
- იპოთეკური სესხები - უძრავი ქონების შეძენის, რემონტისა თუ სამომხმარებლო მიზნობრივობით გაცემული გრძელვადიანი სესხის სახე, რომლის უზრუნველყოფაც ხორციელდება უძრავი ქონებით.
- სამომხმარებლო სესხები - ფიზიკური პირებზე გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხები, შედარებით მცირე მოცულობის თანხებზე (5 000 ლარამდე).

2022 წლის განმავლობაში ინტელექსპრესის საკრედიტო დაბანდება გაიზარდა 3.4 მლნ ლარით და 17,4 მლნ ლარი შეადგინა. შემოსავალმა კი 2.9 მლნ ლარი შეადგინა.

ინფორმაცია ფილიალების შესახებ

ინტელექსპრესი საქართველოს მასშტაბით საქმიანობას ახორციელებს 23 ფილიალისა და სერვის ცენტრის მეშვეობით. კომპანიის ფილიალები წარმოდგენილია: თბილისში, ქუთაისში, გორში, რუსთავში, ბათუმში, თელავში, ზუგდიდში, ახალქალაქში, ფოთსა და ზესტაფონში. ფილიალები მომხმარებელს მომსახურებას სთავაზობენ ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით.

ინტელექსპრესი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ბაზარზე მოქმედ ისეთ კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: სს „თიბისი ბანკი“; სს „საქართველოს ბანკი“; სს „ლიბერთი ბანკი“; სს „ბაზის ბანკი“; სს „ტერაბანკი“; სს „ქართუ ბანკი“; სს „სილქ როუდ ბანკი“; ს.ს. კრედო ბანკი; სს მისო „კრისტალი“; შპს მისო „სმარტ ფინანსი“; სს მისო „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველო სისტემის ჭრილში სრულად ცენტრალიზებულია, რაც ნიშნავს, რომ ფულადი გზავნილების მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გაანადღოს ფულადი გზავნილი საქართველოს ტერიტორიაზე ბანკსა თუ ინტელექსპრესის ფილიალებში.

ინფორმაცია კომპანიის ძირითადი პარტნიორების შესახებ

ინტელექსპრესის საქმიანობა ძირითადად მოიცავს პარტნიორი კომპანიებთან წარმატებულ თანამშრომლობას. ინტელექსპრესის ძირითადი პარტნიორები წარმოდგენილები არიან: საბერძნეთში, დიდ ბრიტანეთში, იტალიაში და კვიპროსში. დასახელებულ ქვეყნებში არსებულ კომპანიებს შორის გაფორმებულია სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ფუნდამენტურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება ერთობლივად.

საბერძნეთი

ინტელექსპრესის გენერალურ პარტნიორ კომპანიას წარმოადგენს საბერძნეთში დაფუძნებული IntelExpress Payment Institution S.A. ეს უკანასკნელი რეგისტრირებულია საბერძნეთის ცენტრალური ბანკის მიერ და ფლობს ავტორიზებული საგადახდო ინსტიტუტის ლიცენზიას (Authorized Payment Institution), რომელიც ანიჭებს კომპანიას უფლებამოსილებას განახორციელოს საგადახდო (მათ შორის, საგადახდო ანგარიშების გახსნა/მომსახურება, ფულადი გზავნილის) მომსახურება ევრო-კავშირის

მასშტაბით. IntelExpress Payment Institution S.A. საბერძნეთში საქმიანობას ახორციელებს 7 საკუთარი ფილიალისა და აგენტების მეშვეობით და დღევანდელი მონაცემებით, საბერძნეთის ფულადი გზავნილების ბაზარზე იკავებს მოწინავე რიგებს, Western Union-თან და Money Gram-თან ერთად. საბერძნეთის ცენტრალურ ბანკში მოპოვებული ლიცენზია ინტელექსპრესს აძლევს უფლებამოსილებას განახორციელოს საგადახდო საქმიანობა სრულიად ევროკავშირის ტერიტორიაზე.

იტალია - IntelExpress Italy

ინტელექსპრესის პარტნიორი იტალიაში არის კომპანია “Inex Express Srl”, რომელიც ასევე წარმოადგენს საბერძნეთში რეგისტრირებული “IntelExpress Payment Institution S.A.”-ის უცხოურ აგენტს და შესაბამისად, იტალიაში ფლობს იმავე უფლებამოსილებებს საგადახდო მომსახურების განხორციელების კუთხით, რასაც ზემოაღნიშნული ბერძნული კომპანია. ინტელექსპრესის წარმომადგენლობა იტალიაში მდებარეობს ქალაქ ბარში და რომში, რომელიც იტალიის მასშტაბით მიიჩნევა ქართველი ემიგრანტების მიერ ერთ-ერთ ყველაზე დასახლებულ ქალაქად.

ინტელექსპრესი მისი პარტნიორებისა და აგენტების მეშვეობით ასევე წარმოდგენილია ევროპის მრავალ სხვა ქვეყანაში, კერძოდ: ესპანეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში, შვედეთში, პორტუგალიაში, გერმანიაში, დანიაში, ბულგარეთში, ჩეხეთსა და რუმინეთში.

ინტელექსპრესი აქტიურად თანამშრომლობს უკრაინაში, მოლდავეთში, სომხეთში და უზბეკეთში არსებულ ბანკებთან და საგადახდო ინსტიტუტებთან.

კომპანია პარტნიორების მეშვეობით ასევე წარმოდგენილია შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ, ფილიპინებში, ბანგლადეშში, პაკისტანსა, ინდონეზიაში და სხვა.

კომპანიის წილი ფულადი გზავნილების ბაზარზე

ფულადი გზავნილების ბაზრის ამსახველ სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ყოველთვიურად. მოცემული სტატისტიკური მონაცემების თანახმად 2022 წლის მანძილზე ინტელექსპრესის წილი საქართველოს ფულადი გზავნილების ბაზარზე მერყეობდა 6%-სა და 12%-ს შორის.

კომპანიის განვითარების გეგმა

რამდენადაც ფულადი გზავნილების სფეროში კომპანიის მომხმარებელთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენენ საქართველოდან, ყოფილი დსთ-სა და შორეული აზიის ქვეყნებიდან ოჯახის შესანახად უცხოეთში წასული ემიგრანტები, ინტელექსპრესის საქმიანობის ძირითადი მიმართულება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მიგრაციის ტენდენციებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ განვითარებაზე. საერთაშორისო ფულადი გზავნილების კუთხით, კომპანია აქცენტს აკეთებს ევროპის, თურქეთის, ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებიდან, დსთსა და შორეულ აზიაში ფულად გზავნილებზე.

რისკების მართვა

ინტელექსპრესის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა სახის რისკებთან, რომელთა გაანალიზებაზე, შეფასებასა და მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველყოფაზეც კომპანია ზრუნავს გამუდმებით. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები მოიცავს: საკრედიტო, ლიკვიდობის, საოპერაციო, სამართლებრივსა და სისტემურ რისკებს.

საკრედიტო რისკი

მთავარი საკრედიტო რისკი, რომლის წინაშეც ინტელექსპრესი დგას წარმოადგენს პარტნიორების/აგენტების მიერ კომპანიის წინაშე არსებული დაუფარავი ვალდებულებების არსებობა. საკრედიტო რისკის კონტროლი ხორციელდება კომპანიის რისკების დეპარტამენტის მიერ, პარტნიორების/აგენტების ფინანსურ ანგარიშგებათა ყოველწლიური შესწავლის/ანალიზისა და მათი მდგომარეობიდან გამომდინარე შესაბამისი ლიმიტებისა და ვალდებულებათა მაქსიმალური ზღვრების დაწესების საფუძველზე. აღნიშნული ლიმიტებისა და ზღვრების გადახედვა (გაზრდა/შემცირება), ისევე როგორც ანგარიშსწორებების სიხშირე შესაძლოა შეიცვალოს არსებული მაჩვენებლების საფუძველზე.

ლიკვიდობის რისკი/ფულადი ნაკადების რისკები

ინტელექსპრესი მართავს დღიური ლიკვიდობის პოზიციებს და რისკებს იმისათვის, რომ დროულად შეასრულოს საგადასახადო და საანგარიშსწორებო ვალდებულებები, როგორც ნორმალურ ასევე სტრესულ გარემოში, და უზრუნველყოს საგადასახადო და საანგარიშსწორებო სისტემების შეუფერხებელი ფუნქციონირება. საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც მარეგულირებელი, აკონტროლებს ინტელექსპრესის ლიკვიდობის პოზიციებს. საოპერაციო რისკების კონტროლი ხდება მენეჯმენტის სხვადასხვა დონეებზე და საგანგებო სიტუაციებში (2008წ ომი, პარტნიორი სისტემის გაკოტრება 2014 წელს, 2020 წლის პანდემია, 2022 წელს კი რუსეთ-უკრაინის ომი). იკრიბება საოპერაციო რისკების კომიტეტი და ხდება პრობლემის განხილვა და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მნიშვნელობა წინა პლანზე კომპანიისათვის ბოლო პერიოდში წამოიწია. საოპერაციო რისკები თავის თავში აერთიანებს, როგორც ტექნიკურ რისკებს (პროგრამულ და ქსელურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ), ისე ფორს-მაჟორულ სიტუაციებს. მსგავსი რისკების მინიმიზაციისათვის ინტელექსპრესს შემუშავებული აქვს ე.წ. „Business continuity plan“, ანუ გეგმა თუ როგორ უნდა იმოქმედოს კომპანიამ ზოგადად და უშუალოდ სისტემა ინტელექსპრესმა ასეთი საშიშროებების დადგომის შემთხვევაში (მაგ.: ომი, ბუნებრივი სტიქია თუ სხვა).

სამართლებრივი რისკი

საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში ასოცირების ხელშეკრულების შემდგომ და ევროკავშირთან დაახლოების პროცესში, აქტიურად შეინიშნება საფინანსო სექტორში განხორციელებული ძირეული ცვლილებები, რომლებიც ხორციელდება ახალი საკანონმდებლო აქტების შემუშავებისა თუ საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე. სამართლებრივი რისკები თავის თავში აერთიანებს საკანონმდებლო ცვლილებებითა და მარეგულირებელი ორგანოების მიერ შემუშავებული ახალი რეგულაციებით კომპანიაზე ახალი მოთხოვნებისა და შეზღუდვების გავრცელებას. ეს უკანასკნელი

აერთიანებს შესაბამის ნებართვებთან დაკავშირებულ საკითხებს, საკრედიტო სფეროში საფინანსო სექტორისათვის შემუშავებულ შეზღუდვებსა და ა.შ.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

2022 წლის განმავლობაში კომპანიას საკუთარი აქციების შეძენა/გაყიდვა არ განუხორციელებია.

წარმოებული კვლევები

2022 წელს, კომპანიას არ ჩაუტარებია საკუთარ საქმიანობასთან ან/და მის განვითარებასთან დაკავშირებული კვლევები.

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა

რუსეთ-უკრაინის ომს სერიოზული გავლენა ქონდა მთლიანად რეგიონზე, და განსაკუთრებით ინტელექსპრესზე, რომელიც აქტიურადაა წარმოდგენილი უკრაინაში და უკრაინა სისტემისთვის ერთ-ერთი წამყვანი და მნიშვნელოვანი ბაზარია. 2022 წლის თებერვლის შემდეგ უკრაინის ბრუნვები სისტემაში რამოდენიმეჯერ შემცირდა. თუმცა მეორეს მხრივ ამ პროცესებმა დამატებითი ნიშებიც გააჩინა, და ინტელექსპრესმა აგრესიულად დაიწყო მოლდოვის და სხვა დსთს ქვეყნების მიმართულებით განვითარება. საბოლოო ჯამში ახალი ბაზრებზე გააქტიურებით კომპანიამ მოახერხა დაეკომპენსირებინა უკრაინიდან დაკარგული შემოსავლები. 2023 წელს კი უკვე შეინიშნება უკრაინის ბაზრის დასტაბილურებაც.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონი
(2018 წლის 26 სექტემბერის მდგომარეობით)

მუხლი 4

4.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ შემდეგი საქმიანობა:

- ა) იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის, სამომხმარებლო, სალომზარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა სესხების (კრედიტების) გაცემა; ამ მიზნით საკრედიტო საგადახდო ბარათის გამოშვება;
- ბ) ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქაღალდებში;
- გ) ფულადი გზავნილების განხორციელება;
- დ) სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება;
- ე) მიკროდაკრედიტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;
- ვ) სესხების (კრედიტების) მიღება რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან;
- ვ1) „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „38“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აგენტის ფუნქციის შესრულება;
- ვ2) ამ პუნქტის „ა“-„ვ1“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად ქონების იჯარით გაცემა;
- ზ) იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის წილების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს;
- თ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები: მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცვლა, თამასუქების, ობლიგაციების გამოშვება, რეალიზაცია, გამოსყიდვა და ამ ფინანსურ მომსახურებებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები.